აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№100 (25.124) 1 დეკემბერი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, მთიან რაიონებში - 12-17 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 765 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

არასტანდარტული ციტრუსის სუბსიდირება გაორმაგდა

მანანა ტაკიძე 27 48 93

სტიქიის შედეგებსა და მიმდინარე ციტრუსის სეზონზე ისაუბრეს მთავრობის სხდომაზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძის განცხადებით, ზარალს გამოდარებისთანავე დაითვლიან და სანაპირო ზოლში შტორმის შედეგად დაზარალებულ ყველა კერძო პირს და მეწარმეს მაქსიმალურურად დაეხმარებიან

თორნიკე რიუვაძემ მიმდინარე ნარინჯისფერ რთველზეც ისაუბრა. როგორც ცნობილია, წელს ფერმერები არასტანდარტულ მანდარინზე, 15 თეთრის ნცვლად, 30- თეთრიან სუბსიდიას მიიღებენ.

- მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გაორმაგებულიყო არასტანდარტული ციტრუსის სუბსიდირება და მიმდინარე წელს, ნაცვლად 15 თეთრისა, მეციტრუსეები არასტანდარტულ მანდარინზე 30 თეთრს მიიღებენ. ოქროსფერ რთველს რაც შეეხება, ამ ეტაპზე, ექსპორტირებულია 3 700 ტონაზე მეტი ციტრუსი, მობილიზებულია მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოები, რამდენიმე დღეში კი ფუნქციონირებას დაიწყებს არასტანდარტული ციტრუსის მიმღები საწარმო. ვფიქრობთ, შეფერხებების გარეშე შევძლებთ ამ სეზონის ჩატარებას, - აღნიშნა თორნიკე რიუვაძემ.

როგორც სხდომაზე ითქვა, დაკორექტირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიმდინარე წლის ბიუჯეტი. ჯანდაცვის მიმართულებას 8 მილიონი ლარი დაემატა, ცვლილება კი მოსახლეობის საჭიროების და ჯანდაცვის სერვისებზე გაზრდილი მოთხოვნების გათვალისწინებით განხორციელდა.

მთავრობის თავმჯდომარემ 2024 წლის ბიუჯეტზე საუბრისას აღნიშნა, რომ რეგიონის ნაერთი ბიუჯეტი 1 მილიარდ ლარს მიუახლოვდა. კერძოდ, ჯანდაცვის ბიუჯეტი 51 მილიონ ლარზე მეტი იქნება, რის შედეგადაც დაიგეგმა არაერთი მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამა. მთავრობის გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვნად გაიზრდება ბათუმისა და მუნიციპალიტეტების ტრანსფერებიც.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შენიშვნების შემდგომ, ვმუშაობთ 2024 წლის ბიუჯეტის გადამუშავებულ ვერსიაზე და ძალიან მალე დასრულდება ეს პროცესიც. პირველად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ბიუჯეტი გადააჭარბებს 700 მილიონ ლარს, ხოლო ნაერთი ბიუჯეტი მიუახლოვდა 1 მილიარდ ლარს. ამ ბიუჯეტის ფარგლებში, დაგეგმილია არაერთი მნიშვნელოვანი როგორც ჯანდაცვის, ასევე, სოციალური პროგრამა. ჯანდაცვის ბიუჯეტი 51 მილიონ ლარზე მეტით განისაზღვრა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ იზრდება დაფინანსება ეკომიგრანტი ოჯახების მხარდაჭერის და ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის კუთხით. გავაგრძელებთ აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტის ტრანსფერებით მიზნობრივ-კაპიტალურ მხარდაჭერას. აღნიშნული ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 240 მლნ ლარზე მეტი ტრანსფერი შესაბამის მუნიციპალიტეტებზე, რომელთა ფარგლებშიც განხორციელდება როგორც მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, კიდევ უფრო მეტად განვითარდება ყველა ის ადგილობრივი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც ესაჭიროებათ ჩვენს მოქალაქეებს, - აღნიშნა თორნიკე რიუვაძემ.

უმაღლეს საბჭოში მიმდინარე წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე იმსჯელეს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის საკანონმდებლო ორგანოში რიგგარეშე პლენარული სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ განიხილეს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე იმსჯელეს

საკითხზე მოხსენებით აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე წარსდგა. მინისტრის განცხადებით, ცვლილების შედეგად ამა წლის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა 21 760 000 ლარით გაიზარდა. იგი 4,5%-ით გაიზარდა და 501 533 700 ლარს შეადგენს. სხვა შემოსავლები 1 760 ათასი ლარით იზრდება და 21 245 ათას ლარს შეადგენს. მისივე ინფორმაციით, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ბიუჯეტი 8 214 500 ლარით გაიზარდა და მისი რაოდენობა 48 749 500 ლარით განისაზღვრა.

პლენარულ სხდომას დარბაზში ოპოზიციონერი დეპუტატებიც ესწრებოდნენ, რომლებსაც მინისტრის მიმართ არაერთი შეკითხვა ჰქონდათ.

- მინისტრის ყოველი მოსვლიდან ჩანს, ტრადიციას არ არღვევს „ქართული ოცნება“ და „გვაოცებს“. დღეს წარმოადგინეს კორექტირებული, შევარდნაძის სეკვესტრირებული ბიუჯეტი. როდესაც ქვეყანაში სტატისტიკის მიხედვით გაქვს კატასტროფული მონაცემი სიღარიბესთან დაკავშირებით და ამის შესახებ არაფერს ამბობს მთავრობის წარმომადგენელი, არ განიხილავს ქვეყნის მთავარი გამოწვევის დასაძლევად თუ არსებობს რაიმე ინიციატივა, აღარ ვიცი, სხვა რაზე უნდა ვისაუბრო. მიმაჩნია, რომ ხულო-გოდერძის მშენებლობა „ქართული ოცნების“ დაუსრულებელ პროექტად უნდა გამოცხადდეს. საზოგადოებას ჰპირდებიან, წელს მოგვარდება ეს პრობლემა, მაგრამ რეალურად არა და არ სრულდება მათი დანაპირები. არც იმაზე აქვთ პასუხი, ნაგავსაყრელზე 5 მილიონი რომ მოიპარეს და დღემდე დაუსრულებელია აღნიშნული პროექტი. ყველა დამეთანხმება, რომ ახალ ბულვარში ნაგავსაყრელის გამო საშინელი სუნია, რაც საზოგადოებას აწუხებს, თუმცა არც აღნიშნულზე უსაუბრია დღევანდელ გამოსვლაში მინისტრს. აღარაფერს ვამბობ ნაპირსამაგრ სამუშაოებზე, სადაც კატასტროფული მდგომარეობაა. რეალურად, 100 მილიონი მოიპარეს ადლიის დასახლებასა და გონიო-კვარიათის ნაპირსამაგრი სამუშაოებიდან და ვხედავთ, რომ ახალი ბულვარი ინგრევა ყოველი ღელვისას და არც ამაზე აქვთ პასუხი. 2014 წელს გააჩერეს ნაპირის ხელოვნური კვების პროგრამა და რა მდგომარეობაა ყოველი შტორმის დროს, ნათლად ვხედავთ. 60 წუთი ჰქონდა მთავრობის წარმომადგენელს საუბრისთვის ბიუჯეტის მნიშვნელოვან საკითხებზე და რეგიონის გამოწვევებზე, მან კი დროის ნახევარი გამოიყენა. სალაპარაკო არაფერი აქვს და მაგიტომ. ნახევარ საათში დაასრულა ამხელა ბიუჯეტის განხილვა. „ქართული ოცნების“ დეპუტატებს რაიმე მნიშვნელოვანი და პრობლემური კითხვა არ დაუსვამთ მინისტრისთვის. მოვლენ, მოისმენენ, ბრმად ხელს აწევენ და მორჩა. ეს არის მათი ტრადიციული რიტუალი და არა - ბიუჯეტის რეალური განხილვა, - განაცხადა ოპოზიციონერმა დეპუტატმა „ნაციონალური მოძრაობიდან“ გია აბულაძემ.

აღსანიშნავია, რომ ხმაური მოჰყვა ცვლილებას არაფინანსური აქტივების კლების მუხლში მიწის გაყიდვებიდან მისაღები შემოსავლების 40 მილიონი ლარით კლებას, რაც იმას ნიშნავს, რომ აჭარის მთავრობამ ვერ გაყიდა მიწის ნაკვეთები, რომელიც ჰქონდა საპრივატიზაციო ნუსხაში.

ოპოზიციონერ დეპუტატთა განცხადებით, მათ შევარდნაძის დროს არსებული ბიუჯეტების შემდეგ არ ახსენდებათ ფაქტი, როცა წლის ბოლოს ბიუჯეტი შემცირდა. ოპოზიციონერ დეპუტატებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა უპასუხა. ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, ოპოზიციის შეკითხვების დიდი ნაწილი შეიცავდა დემაგოგიას და არცერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც რეგიონში ხორციელდება, არ შეჩერებულა, მათ შორის არცერთ მათგანს არ დაკლებია ბიუჯეტი. რაც შეეხება აღნიშნულ კლებას, მინისტრის განმარტებით, ეს გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა პროექტის ტენდერში ვერ მოხდა კომპანიების გამოვლენა.

- კორექტირებული ბიუჯეტი 572 მილიონი ლარით განისაზღვრა. ორი ძირითადი ფაქტორი, რამაც განაპირობა ბიუჯეტის ცვლილება, გახლავთ ის, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 8 მილიონ 200 000 ლარით იზრდება, მეორე მთავარი ფაქტორი კი არის ის, რომ ჩვენ გავზარდეთ არასტანდარტული ციტრუსის სუბსიდირება. 15 თეთრის ნაცვლად სახელმწიფო 25 თეთრს დააფინანსებს. საერთო ჯამში კი ჩვენი მოქალაქეები 30 თეთრს მიიღებენ. საშემოსავლო გადასახადების შედეგად მიღებული შემოსავლები იზრდება 20 მილიონი ლარით, თავის მხრივ, 40 მილიონი ლარით მცირდება პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხები. უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციის პარტიის წარმომადგენლების აბსოლუტური უმრავლესობის მიერ გაჟღერებული საკითხები სრულიად დემაგოგიურია, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი არის დაბალანსებული. ყველა პროგრამის, რომელშიც არის დაბალი შესრულება, თუ არ მოხდა დაკორექტირება მომდევნო პერიოდში, ეს ნიშნავს იმას, რომ წლის ბოლომდე სრულად მოხდება ამ თანხების ათვისება. ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი, რა თქმა უნდა, არის ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი. ბიუჯეტის დაახლოებით 65 პროცენტი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას ხმარდება და მნიშვნელოვანია, რომ ისინი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად განხორციელდეს. იმ პროექტებზე, რომლებიც არ ხორციელდება აღნიშნული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, რა თქმა უნდა, კანონით გათვალისწინებული წესის მიხედვით, ვახდენთ შესაბამისი პირგასამტეხლოების დაკისრებას და ვაძლევთ საშუალებას კერძო სექტორის წარმომადგენლებს, რომ ბოლომდე მიიყვანონ აღებული ვალდებულებები და შეასრულონ ის პირობები, რაც პროექტშია გაწერილი, - განაცხადა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ“ ᲓᲐ ᲠᲐᲨᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲜ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ?

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲐᲫᲔ 595 85 80 06

„ნაციონალურ მოძრაობაში“ ისევ კრიზისი და დაპირისპირებაა. დაპირისპირება დაახლოებით ერთი წლის წინ დაიწყო, როცა ლევან ხაბეიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ აუცილებელი იყო ჩატარებულიყო პარტიის თავმჯდომარის არჩევნები

იმ დროისათვის მოქმედი თავმჯდომარე ნიკა მელია ამ წინადადებას დათანხმდა და არჩევნებში დამარცხდა.

23 ნოემბერს, ვარდების რევოლუციის 20 წლისთავზე, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 11-პუნქტიანი მანიფესტი „რუსი ოლიგარქი ან საქართველო - ტოტალური შეტევა სისტემაზე გამოაქვეყნა“.

დოკუმენტი ასახავს პარტიის პრინციპებს, პოლიტიკურ ხედვასა და იდეოლოგიას, ამავდროულად, პარტიის ერთიანობის დეკლარაციაა. მანიფესტის შექმნის იდეა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შესთავაზა. მისი თქმით, მანიფესტი პარტიული ერთიანობის შეთანხმებას მოიცავს და თუკი ვინმე არ მოისურვებს ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერას, ის ავტომატურად დაიყენებს თავს პარტიის გარეთ და სხვა გზით მოუხდება წასვლა.

მანიფესტისთვის ხელი არ მოუწერიათ პარტიის ყოფილ თავმჯდომარე ნიკა მელიასა და მის თანამოაზრეებს. აქედან გამომდინარე, ენმ-ში აცხადებენ, რომ მელიამ არ გაიზიარა ის პრინციპები, რომელიც დამფუძნებლის, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივითა და ავტორობით შეიმუშავეს და ის გამიზნულად აზიანებს პარტიის ინტერესებს.

მანამდე კი ნიკა მელიამ განცხადება გააკეთა და პარტიაში არსებულ მენეჯმენტზე უკმაყოფილება გამოხატა.

„სამწუხაროდ, ნდობა, არსებული მენეჯმენტის მიმართ, დაიკარგა მათი მოსვლიდან პირველივე კვირაში. მაშინ, როდესაც, ტექნიკური ყრილობა, რომელსაც მხოლოდ არჩევნების შედეგები უნდა დაემტკიცებინა, გამოყენებულ იქნა პოლიტსაბჭოს დაშლისა და ახალი პოლიტსაბჭოს წევრების დანიშვნისათვის. მენეჯმენტის გადაწყვეტილებების შედეგად, დაიკარგა ერთიანობა, დრამატულად დაზიანდა ნდობა პარტიის მიმართ, ჩაკვდა პოლიტიკური პროტესტი პარლამენტში. პარტიის წარმომადგენლობა ასხივებს სრულ პოლიტიკურ უსუსურობას, მიხეილ სააკაშვილი კვლავ პატიმრობაშია, ხოლო დაქსაქსული პარტია დღითი დღე კარგავს ოპოზიციურ ველზე პოლიტიკური ლიდერის ფუნქციას ისევე, როგორც ერთობლივი ოპოზიციური დღის წესრიგის შექმნის უნარს.

ხალხი უბრალოდ, გარიცხეს პოლიტიკური საბჭოდან, ჩემით დაწყებული ალბათ ყველას სახელი და გვარი ცნობილია საზოგადოებისთვის. ყველასთვის ნათელია ეს უსამართლობა და ვერავინ მიიღებს ამას. კარჩაკეტილობამ და არაფორმალურმა მართვამ პარტია უფსკრულის პირას მიიყვანა,“ - განაცხადა ნიკა მელიამ.

სულ რამდენიმე დღის წინ კი მანვე განაცხადა, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ ჩამოყალიბდა ე.წ. მდუმარე მილიონერთა კლუბი, რომელთაც თავისი ბიზნესწილები ამძიმებთ, რომ ჩაერთონ რეალურ ბრძოლასა და პოლიტიკურ პროცესებში. მისი თქმით, თითქოს რაღაც უხილავმა ხელმა გაყო პარტია ორ ნაწილად - მებრძოლი ხალხი, რომელიც ბუნებრივად აღმოჩნდა მეორე მხარეს, გარიყული და პოლიტსაბჭოდან გარიცხული.

26 ნოემბერს ენმ-ის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ნიკა მელია აღარ არის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი და რომ ეს თემა სამუდამოდ დახურულია.

ნიკა მელიას ამ საკითხზე განცხადება ამ დრომდე არ გაუკეთებია.

ხაბეიშვილის თავმჯდომარეობიდან გადადგომას კი უკვე მცხეთის, ზუგდიდის, თერჯოლისა და ფოთის საკრებულოები ითხოვენ.

მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის პოლიტიკურ კრიზისში და დაშლის საბოლოო ფაზაშია, რომ პარტია ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილს ემორჩილება და მის ნათქვამს აყენებს წინა პლანზე.

„რაც დათესეს, იმას იმკიან. არ ჰყავთ მომავლის ლიდერი, არ აქვთ მომავლის ხედვა და შიგნით მიმდინარეობს ძალაუფლების და იმ პოლიტიკური მემკვიდრეობის გადანაწილება, რომელიც დაატოვებინეს და წაართვეს მიხეილ სააკაშვილს. თავის მხრივ, სააკაშვილიც ყველანაირად ცდილობს, პარტიაში იყოს დაპირისპირება, კინკლაობა და ამით პატიმრობიდან დაამტკიცოს, რომ მის გარდა მხსნელი, ლიდერი, შემაკავშირებელი სხვა არავინ არის“,- განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა არჩილ თალაკვაძემ.

რეალურად რა ხდება „ნაციონალურ მოძრაობაში“ და რაში ხედავენ გამოსავალს? ამ შეკითხვებით აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსებს მივმართეთ.

რეზო ხარაზი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ბათუმის საკრებულოს დეპუტატი:

- 23 ნოემბერს, როდესაც თბილისში პარტიის შეკრება ჩატარდა რევოლუციის 20 წლისთავთან დაკავშირებით, მიხეილ სააკაშვილმა ძალიან მკაფიოდ განაცხადა, რომ ჩვენი მთავარი მიზანი არის გამარჯვება. თუ ვინმემ გადაწყვიტა ამ პარტიაში არ აკეთოს საქმე და უბრალოდ, დაჯდეს და იჭორაოს იმაზე, რაც მომხდარა თუ არ მომხდარა, მას შეუძლია იჭორაოს პარტიის გარეთ. ჩვენი მთავარი მიზანი საქმის კეთებაა, ვფიქრობთ იმაზე თუ როგორი უნდა იყოს ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტი 2024 წლისთვის. ხელმოწერებს ვაგროვებთ ქეთევან წამებულის ქუჩაზე სამუშაოების ჩასატარებლად, დავდივართ და ვხვდებით მოსახლეობას, ვიზიარებთ მათ პრობლემებს. თუ ვინმეს საქმის კეთება უნდა, ჩვენი კარები არის ღია.

„მელიას ფლანგი“ დღეს საუბრობს არაფორმალურ მმართველობაზე, რაც არის სრული აბსურდი. ვინც ასე ფიქრობს, მისი ადგილი ნამდვილად არ არის „ნაციონალურ მოძრაობაში“. მიხეილ სააკაშვილმა ღიად განაცხადა, რომ მხარს უჭერს ლევან ხაბეიშვილს, ჩვენი პარტიის პოლიტიკურ საბჭოს და ფიქრობს, რომ ის არის სწორად არჩეული. სულ საუბრობენ პარტიიდან გაგდებაზე, მაგრამ რეალურად, არავინ გაუგდიათ. მე ვფიქრობ, ნიკა მელიამ თავისი რესურსი უკვე ამოწურა, რადგან არასწორი სამიზნე ჰყავს - როდესაც საუბრობდა ბიძინა ივანიშვილზე, მაშინ იყო სწორ პოზიციაზე, ახლა უკვე პოზიცია შეიცვალა და მისი განსახილველი თემა მიხეილ სააკაშვილია.

ამ კრიზისიდან გამოსავალს ვხედავ იმაში, რომ ყველამ სწორად უნდა აირჩიოს სამიზნე, ვის წარმოაჩენს ცუდად და ვის კარგად. ყველა ერთად უნდა დავსხდეთ და ვისაუბროთ იმაზე, როგორ გავუშვათ ივანიშვილი და მისი პარტია სახლში. ეს არის გამოსავალი. მოვუწოდებ აჭარაში ჩვენი პარტიის წევრებს, რომლებიც დღეს დისტანცირებული არიან საკუთარი ნებით, დასხდნენ და იმუშაონ ჩვენთან ერთად და საქმე აკეთონ.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ, „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲘ:

- რეალურად, „ნაციონალურ მოძრაობაში“ ხდება ის, რაც აქამდე არ მომხდარა - იდევნება განსხვავებული აზრი. 2012 წლის შემდეგ რაც „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნების გზით წავიდა მმართველი რგოლიდან, ავტოკრატიულ რეჟიმთან ბრძოლაში სხვადასხვა აზრის მქონე ადამიანები გაერთიანდნენ ერთი იდეის ირგვლივ, რაც ემსახურება რუსული რეჟიმის ჩამოშლას და კოალიციურად, სხვა პარტნიორ პარტიებთან ერთად, სათავეში მოსვლას. თუმცა რაც ახლა ხდება, ეს მიმართულია იქითკენ, რომ კარები დაუკეტონ პარტიის იმ წევრებს, რომლებსაც განსხვავებული აზრი აქვთ. დღევანდელი მენეჯმენტი შეცდომებზე არ სწავლობს. კარგად ვიცით, რომ 2003 წლის რევოლუციის შემდეგ, იყო შეცდომები, მათ შორის, გამოუსწორებელიც, დღევანდელი მენეჯმენტი კი ცდილობს, არათუ ისწავლოს ამ შეცდომებზე, არამედ გაიმეოროს. ხაბეიშვილმა დღეს პარტია დაამსგავსა ისეთ პარტიებს, რომლებიც არანაირად არ იმსახურებენ მოწონებას და მსგავსი თავმჯდომარე „ნაციონალურ მოძრაობას“ არ შეეფერება. ის, რაც მან გააკეთა ტელევიზიით ფარსი ხელმოწერის სახით, რომ ნიკა მელია თურმე აღარ არის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ნამდვილად მასკარადი იყო.

რაც შეეხება გამოსავალს, შეთანხმების ბევრი მცდელობა გვქონდა, თუმცა უშედეგოდ. ჩემი აზრით, ბოლო ხავსს მოჭიდებაა საკრებულოების განცხადება, რომ ხაბეიშვილი და რამდენიმე ის ადამიანი, ვინც ვერ გაართვა თავი იმ დაპირებებს რა დაპირებებითაც მოვიდნენ მენეჯმენტში, უნდა გადადგეს. მათ უნდა აიღონ პასუხისმგებლობა და შემდეგ შეიძლება ერთობაზე ლაპარაკი. წინ ძალიან მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნებია და თუ ერთობას მალე ვერ მივაღწევთ, შესაძლოა, სხვა პლატფორმიდან მოგვიწიოს ბრძოლა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲫᲒᲘᲠᲘᲫᲔ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

- რეალურად რომ შევაფასოთ, ეს საკითხი არ არის საინტერესო. ყოველივე თავსმოხვეული ნარატივია, რომელიც „ნაცმოძრაობამ“ საკუთარ რიგებში უნდა განიხილოს. ძირითადად, მოქალაქეებს საერთოდ არ აინტერესებთ, ვინ იქნება „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარე. მიკვირს კიდეც, ეს საკითხი ასეთ მასშტაბურ რეზონანსს რომ იწვევს. მეორე მხრივ, საზოგადოება ნათლად ხედავს, რომ ამ ადამიანებს არა რაიმე იდეა ან სამშობლოს ერთგულება, არამედ თანამდებობები აინტერესებთ და მსგავსი ადამიანების ხელისუფლებაში ყოფნა ძალიან საშიშია ხალხისთვის, დამაზიანებელი - სახელმწიფოსთვის.

ᲜᲘᲠᲘᲛᲐᲜ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ, ბათუმის საკრებულოს დეპუტატი, პარტია „ქართული ოცნებიდან“:

- „ნაციონალური მოძრაობის“ კრიზისიდან გამოსავალს ვერ ვხედავ, ამჯერად, მგონი, საბოლოოდ დაისამარეს თავი და ბოლოს და ბოლოს, დაისვენებს მათგან მოსახლეობაც. ამ არეულობით მათი მხარდამჭერების ნაწილიც გაერკვა იმაში, თუ რას წარმოადგენს რეალურად „ნაციონალური მოძრაობა“.

მათ უნდათ ხელისუფლებაში დაბრუნება, რომ დაანგრიონ და გაანადგურონ ყველა და ყველაფერი მორალურადაც და ფიზიკურადაც, მაგრამ ქართველი ხალხის ნდობა უკვე დაკარგეს და ეს აღარასდროს მოხდება.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

მიმდინარე წლის ქალაქის ფინანსურ დოკუმენტში კორექტირება შევიდა. ბათუმის საკრებულოს დეპუტატებმა ამ საკითხს რამდენიმე დღის წინ გამართულ მორიგ სხდომაზე მხარი დაუჭირეს. ბიუჯეტის ცვლილება გააპროტესტა ოპოზიციამ. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ რეზო ხარაზის განცხადებით, ცვლილება ბათუმელების ინტერესებზე არაა მორგებული. ოპოზიციამ საკითხის განხილვაშიც არ მიიღო მონაწილეობა და სხდომა დატოვა. საკრებულომ, ასევე, დაამტკიცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარევაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესიც, რომლის თანახმადაც, განისაზღვრა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის პროცედურები. სწორედ ამ საკითხის ამოღებას ითხოვდა ოპოზიცია, რაც არ დაკმაყოფილდა. სხდომაზე ცვლილებები შევიდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში. ბათუმში, ორ მისამართზე კი განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დამტკიცდა. საკრებულოს გადაწყვეტილებით, ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. №53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე პოეტ შოთა ზოიძის მემორიალური დაფა განთავსდება.

* * *

„დინამო ბათუმი“ ეროვნული ლიგის გამარჯვებული სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე გახდა. ბათუმელებმა საკუთარ მოედანზე „თელავი“ ადვილად დაამარცხეს. პირველ ტაიმში ირაკლი ბიძინაშვილმა გახსნა ანგარიში, შემდეგ გიორგი ზარიამ ეფექტური გოლით გამოიჩინა თავი, თამაშის დასასრულს კი ცოტნე ფაცაციამ, ნახევარმცველმა, მოედნის საკუთარი ნახევრიდან, დაახლოებით 60-70 მეტრიდან გაიტანა გოლი. ბათუმმა 73 ქულა დააგროვა და ბოლო ორ ტურში მიუწვდომელი გახდა. თუმცა „დინამო ბათუმის“ ჩემპიონობა იმ დღეს არ გაფორმდებოდა, რომ თბილისის „დინამოს“ ქუთაისის „ტორპედოსთან“ თამაში ფრედ არ დაესრულებინა.

* * *

ბათუმს ახლად რეაბილიტირებული რელიგიის მუზეუმი შეემატა, რომელიც სრულიად განსხვავებული საექსპოზიციო კონცეფციითა და უნიკალური ექსპონატებით გამოირჩევა და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქართველი ხალხის იდენტობას, ტოლერანტულ ბუნებასა და მულტიკულტურალიზმს. სსიპ „აჭარის მუზეუმის“ დირექტორ თეონა ზოიძის ინფორმაციით, 2023 წელს მუზეუმს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა, შეიცვალა ინტერიერი და ექსტერიერი, აღიჭურვა შესაბამისი ავეჯითა და ტექნიკით, შეიქმნა ახალი ექსპოზიცია, რომელიც მოიცავს მართლმადიდებლობის, ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობის, ისლამის, იუდაიზმის, ბუდიზმის და კათოლიციზმის რელიგიურ წიგნებს, სარიტუალო ნივთებსა და ტანისამოსს, წარსულის ამსახველ იშვიათ ფოტოებს, სხვადასხვა საავტორო ტექნიკით შესრულებულ მართლმადიდებლურ ხატებს, ბარელიეფებს, მინანქარს. მისივე ინფორმაციით, ექსპოზიცია ასევე გამრავალფეროვნებულია მართლმადიდებელი ეკლესიის, რომის კათოლიკური და სომხური სამოციქულო ეკლესიების ბათუმთან დაკავშირებული არტეფაქტებით, რელიგიური რიტუალებისას აუცილებელი შესამოსელებითა და მულაჟებით.

* * *

„იუსაიდის“ მისიის დირექტორმა ჯონ პენელმა, აჭარის სოფლის მეურნეობის და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად, შპს „აგროექსპორტის“ პლასტიკური ნარჩენების გადამამუშავებელი ახალი საწარმო გახსნა. „იუსაიდის“ მხარდაჭერით საწარმო გადაამუშავებს პლასტმასის ნარჩენებს და დაამზადებს ხილისა და ბოსტნეულის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილ ყუთებს. „ამ ყუთებით ხდება პროდუქციის ტრანსპორტირება როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მსგავსი აქტივობები შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, გაზრდის სოფლის მეურნეობის ექსპორტს და დაიცავს ადგილობრივ გარემოს აჭარაში. ეს საწარმო იმის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია, თუ როგორ თანამშრომლობს „უისაიდი“ საქართველოს მთავრობასთან, კერძო სექტორთან და საზოგადოებებთან, რათა ხელი შეუწყოს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობას“ , - ნათქვამია ,,იუსაიდის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში დასრულდა ტრადიციული საახალწლო ღია საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც ექვსი ქვეყნის 150-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი მოჭადრაკეები ნინო ნაკაშიძე და მეგი ცხვიტავა 10 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში. ვულოცავთ გოგონებსა და მათ მწვრთნელებს გიორგი ჭანტურიას და მარიკა ჯაფარიძეს ამ შედეგს და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.

* * *

ბათუმში 9 ობიექტი გამოვლინდა, რომლებსაც მენიუ ქართულ ენაზე არ ჰქონდათ. შესაბამისად, იქ შესულ ადამიანებს არ ეძლეოდათ შესაძლებლობა, სახელმწიფო ენაზე მიეღოთ მათთვის საჭირო ინფორმაცია. აღნიშნული დარღვევა კონკურენციის სააგენტომ გამოავლინა, რომელმაც სულ 11 ობიექტში არსებული მდგომარეობა შეისწავლა. დარღვევები გამოვლინდა შემდეგ ობიექტებზე: შპს „ქიზილ 2023-ში“, შპს „გრილ ფუდში“, შპს „ჰარვიდენტში“, შპს „ინვესტ ინ ჯორჯიაში“ შპს „დარიაში“, ასევე ი/მ ანდრეი ხარბედიას, ი/მ ვლადისლავ კირიაკოვის, ი/მ ალექსანდრ ვასილევის, და ი/მ მარია კალუსტიანის კუთვნილ დაწესებულებებში. აღნიშნული ობიექტები ვალდებულნი არიან მენიუ ქართულ ენაზე ერთი თვის განმავლობაში შეადგინონ, პატივი სცენ იმ სახელმწიფო ენას, სადაც იმყოფებიან და აწარმოებენ სამუშაოს.

მოამზადა
ᲮᲐᲢᲘᲐ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐ

„დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ჩვენ გაცხადებული გვაქვს ქვეყნის ევროპული კურსი“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ახალი მსოფლიო წესრიგი დღესდღეობით ყველაზე აქტუალური საკითხია. როგორც ცნობილია, ყოველი ომის შემდეგ სხვადასხვა ფაქტორის კვალობაზე, მყარდება ახალი გლობალური წესრიგი. მიმდინარე პროცესსაც, ცხადია, ზესახელმწიფოები სათავისოდ გამოიყენებენ, გაიფართოებენ გავლენის სფეროებს პატარა ქვეყნების ხარჯზე, რაც არაერთხელ მომხდარა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე

ვინ არიან მსოფლიო პოლიტიკის მთავარი აქტორები? როგორი იქნება მსოფლიოს ახალი წესრიგი? რა როლი აქვთ პატარა ქვეყნებს ამ პროცესში და რა ფაზაშია რუსეთ-უკრაინის ომი? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება ბსუ-ის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ***ლევან ჯაჟელი.***

- ახალი მსოფლიო წესრიგის მოლოდინში ვხედავთ, თუ როგორ იცვლება საერთაშორისო დღის წესრიგი. უმთავრესად რა განაპირობებს ამას?

- მსოფლიოს დღის წესრიგის ფორმირება დაწყებულია მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და ორპოლუსიანი მსოფლიო მრავალპოლუსიანი გახდა. ახლა ისევ მიდის ბრძოლა, რომ მსოფლიო გახდეს ერთ ან ორპოლუსიანი, მაგრამ კაპიტალი ისე ასიმეტრიულად განაწილდა, რომ რაიმეს პროგნოზირება - როგორ განვითარდება მოვლენები, შეუძლებელია. სამწუხაროა, რომ მსოფლიომ ვერ შეძლო ახალი წესრიგის მშვიდობიანი გზით დამყარება.

- ფაქტია, საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას, თუნდაც - გაერო. რამდენად შესაძლებელია მათი მოდერნიზება?

- მიმაჩნია, რომ გაეროს ინსტიტუციები ჩამოშორდა რეალობას. იმდენად ფორმალიზებული გახდა მისი მუშაობა, რომ პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებს (მისი წესდების საფუძველზე) ვეღარ წყვეტს. აშკარაა, რომ გაერო, ამ ახალი წესრიგის პირობებში, ვერ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, თუმცა სხვა ალტერნატივა ამჟამად მსოფლიოში არ არის. ვიდრე ახალი წესები არ იქნება შემუშავებული, გაერო აგრძელებს ამ მცდელობას, მაგრამ ვერც რეფორმირება უშველის, ახალ საერთაშორისო ორგანიზაციაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი.

- როგორც ცნობილია, გაერომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გარკვეულწილად, უზრუნველყო მსოფლიოში მშვიდობა...

- მაგ ომის შემდეგ მსოფლიო წესრიგმა ამოწურა თავისი რესურსი, ახლა ახალი აქტორები ჰყავს მას. ეკონომიკური კაპიტალის გადანაწილების შედეგად ჩამოყალიბდა ახალი აქტორები, რომლებიც ახალ დაკვეთას აძლევენ მსოფლიოს, ხალხს. დააკვირდით მიგრაციულ ეკონომიკურ ზრდას ცალკეულ ქვეყნებში, ასევე, აღსანიშნავია იმპერიალისტური ზრახვების განხორციელების მცდელობები, ვგულისხმობ რუსეთს. ფაქტი ერთია - რა მოთხოვნაც იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შესრულდა და ამოიწურა, შესაბამისად, ახალი რეალობა, ახალი მოთხოვნები გაჩნდა და საჭიროა ახალი შეთანხმება.

- ამ მიმართებით ახალი მექანიზმების მოფიქრებაზე, უპირატესად, ვინ, სად და როგორ უნდა იფიქროს?

- ამაზე იზრუნებენ როგორც გამარჯვებული, ისე დამარცხებული, გამოფიტული სახელმწიფოების ლიდერები, რომლებიც მივლენ იმ კონდიციამდე, რომ ბრძოლას და ომს აზრი არ აქვს. თუკი მეორე მსოფლიო ომის დროს გამარჯვებული გამოიკვეთა, ამ შემთხვევაში, გავბედავ და, გავაკეთებ პროგნოზს, რომ მკაფიო გამარჯვებული არავინ იქნება, მხარეები იძულებული იქნებიან, ერთმანეთს მოელაპარაკონ და შეთანხმდნენ.

- რომელი სახელმწიფოები დომინირებენ ამ მხრივ, ანუ ვინ არიან მსოფლიო პოლიტიკის მთავარი აქტორები?

- უმთავრესად ეს ამერიკის შეერთებული შტატებია, ჩინეთი - თავისი პოტენციალით, ფრთხილი პოლიტიკითა და ეკონომიკური სტრატეგიით, რუსეთი - თავისი ხისტი პოლიტიკით, რომელსაც არ სურს, დახარჯოს ფული თავისი გავლენის გასაფართოებლად, სამაგიეროდ, აქვს იაფი სამხედრო და ადამიანური რესურსები, რომლითაც ცდილობს, მიაღწიოს იმას, რაც ასჯერ, ათასჯერ ძვირი უჯდება აშშ-ს იგივე მიზნებისთვის - რუსეთი ამას აკეთებს შეიარაღებული ძალებით.

- როგორია პატარა ქვეყნების როლი და ადგილი საერთაშორისო დღის წესრიგში?

- პერსპექტივა ისეთია, რომ პატარა ქვეყნებს აუცილებლად მოუწევთ არჩევანის გაკეთება, თუ ვისთან ითანამშრომლებენ და ვისი უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ იქნებიან. რეალობა ახლა ისეთია, რომ არსებული სახელმწიფოებიდან ხვალ და ზეგ ვინ დარჩება გავლენის მქონე, უცნობია, რადგან რესურსებისგან დაცლა ხდება, ანუ ომები, კონფლიქტები... მაგალითად, აშშ რუსეთ-უკრაინის ომში უშუალოდ არ მონაწილეობს, მაგრამ მიმდინარეობს მისი ეკონომიკის გამოფიტვა, ამას რამდენად აიტანს ამერიკის მოქალაქე, კიდევ სხვა საკითხია. შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს მან ეს ყოველივე გააპროტესტოს და არჩევნებში მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგ მისცეს ხმა.

- სხვათა შორის, დონალდ ტრამპი ამ ვითარებას კარგად იყენებს და პრეზიდენტ ბაიდენს მკაცრად აკრიტიკებს.

- დიახ, ტრამპი მთელ საარჩევნო კამპანიას ამაზე აფუძნებს. შესაძლოა, ამერიკამ იზოლირებული პოლიტიკა გაატაროს.

- ბევრი ექსპერტი თვლის, რომ თუ აშშ მასეთ პოლიტიკას გაატარებს, ეს მისთვის საგალალო აღმოჩნდება გრძელვადიან პერიოდში...

- ნამდვილად დამღუპველი იქნება ამერიკისთვის იზოლირებული პოლიტიკა იმიტომ, რომ შიდა უსაფრთხოებას, თავის ეკონომიკურ სტაბილურობას უზრუნველყოფს სწორედ გარე სტრატეგიული ინტერესების დაკმაყოფილებით. როგორც კი აშშ გარე პერიმეტრზე შეამცირებს ან შეწყვეტს უსაფრთხოებისთვის ზრუნვას, გარე მტრები მის წალეკვას შეძლებენ.

- ამ ეტაპზე, საქართველოსთვის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის მნიშვნელობასა და აქტივობაზე რა შეიძლება ითქვას?

- საერთოდ, ინტეგრაციის საკითხი ყველა ეპოქის ინტერესი და ამოცანაა. საქართველომ ისტორიულად აჩვენა, რომ მას მარტო, ავტონომიურად, დამოუკიდებლად, ხანგრძლივად განვითარება არ შეუძლია. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ არსებობა შეგვიძლია, მაგრამ განვითარება, რაც მსოფლიო ცივილიზაციასთან ინტეგრაციაში შეგვიწყობს ხელს, არ დადასტურდა, ამიტომაც გვჭირდება მჭიდრო საერთაშორისო კავშირები, თანამშრომლობა, მოგვიწევს დაბალანსება ევროპას, დასავლეთს, რუსეთსა და აზიას შორის, აქ ჩვენ ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს. ბოლო პერიოდში ეს კარგად გამოგვდის, თუმცა ვფიქრობ, ეს ძალისხმევა, სამწუხაროდ, საკმარისი არ იქნება და მომავალში უფრო ფრთხილი და კარგად შეფასებული მოქმედება დაგვჭირდება.

- კანდიდატის სტატუსთან მიმართებით ევროკომისიის დადებითი დასკვნა რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის?

- ჩვენ - ქართველი ხალხი ამისთვის ვიბრძოდით, ქართულ სახელმწიფოსაც სურდა ეს, დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან გაცხადებული გვაქვს ჩვენი ევროპული კურსი, კონსტიტუციურადაც გაფორმებულია ჩვენი დასავლური ვექტორი, მაგრამ მივაღწიეთ იმ კონდიციას, როცა კანდიდატის სტატუსის მონიჭება უფრო ევროპელებისთვისაა მნიშვნელოვანი, ვიდრე ჩვენთვის იმიტომ, რომ ძალიან გაწბილებულ ხალხს მარტივად შეუძლია არჩევანი შეცვალოს, ანუ ევროპაზე უარი თქვას, რადგან ბევრჯერ მივიღეთ უარი დასავლეთისგან და შეიძლება დაიღალოს ხალხი ამ მოლოდინით. ამიტომ ევროკომისიამ ეს ყოველივე გაითვალისწინა და საქართველოს მიმართ დადებითი დასკვნა დადო.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ ევროკომისიის მიზანია საქართველოს ევროკავშირში ხილვა...

- ნუ დავიყვანთ ჩვენს პერსპექტივებს ცალკეული, თუნდაც მაღალი თანამდებობის პირების სიტყვიერ განცხადებებამდე. ერთია განცხადება პოლიტიკური, მეორე - მისი აღსრულება და ბოლომდე მიყვანა, ამიტომ პრაგმატულები უნდა ვიყოთ და რეალურად შევაფასოთ, სად იქნება ჩვენი ადგილი ორგანულად და არა - ფორმალურად.

- ახლოვდება ვაშინგტონის ნატოს სამიტი. რამდენად მოსალოდნელია საქართველოსთვის მაპის მინიჭება?

- არა მგონია, ამ მხრივ რაიმე ქმედითი ძვრები იყოს ფრონტის გასახსნელად, ეს არც საქართველოს აწყობს, არც ამერიკას და არც რუსეთს. ამ შემთხვევაში, სერიოზული ძვრები არ იქნება, პოლიტიკური განცხადებებით შემოიფარგლებიან, იტყვიან, რომ ნატოს კარი ღიაა საქართველოსთვის და ასე შემდეგ.

- საერთაშორისო დღის წესრიგში ჩვენი ადგილი რომ დავიმკვიდროთ, რა უნდა გავაკეთოთ?

- ჩვენ აუცილებლად უნდა ვიყოთ ახალი მსოფლიო წესრიგის ინიცირების ფლაგმანი, ჩვენი როლი შევასრულოთ მის დამყარებაში, ახალი შეთანხმების ხელმოწერაში. უნდა მივიღოთ უსაფრთხოების, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობის გარანტიები. ამ პროცესებს არ უნდა ჩამოვრჩეთ და არ უნდა დაველოდოთ, თუ როგორ შეთანხმდებიან ამერიკა, რუსეთი, ჩინეთი, აქეთ - არაბული სამყარო და ევროკავშირი. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიყოთ ახალ მსოფლიო წესრიგზე საუბრის ინიციატორები, რომ ჩვენისთანა პატარა და გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანმა ქვეყანამ მიიღოს არსებობის გარანტია, დიახ, სწორედაც საერთაშორისო პროცესებში შეუფერხებლად მონაწილეობის გარანტია.

- გვერდს ვერ ავუვლით უკრაინის ომს. რა ფაზაა ამჟამად იქ?

- ახლა ომის პიკის მომენტია, ვერც რუსეთი ახერხებს ომში გარდატეხის შეტანას, აფიქსირებს, რომ თავისი მიზანი შეასრულა, რომ გარდა მცირედი ნაწილისა, გასაკეთებელი არაფერი დარჩა, რაც აბსურდია. ამას ვერ გავიზიარებ და არა მგონია, მოიძებნოს ექსპერტი, რომელიც იტყვის, რომ რუსეთმა თავისი მიზნები 100 პროცენტით შეასრულა უკრაინაში. ჩემი აზრით, რუსეთი დაიცალა რესურსისგან, ამ წუთში ის იყენებს იარაღს, რომელსაც ყოველდღიურად ამზადებს, ვგულისხმობ ისეთ იარაღს, რომელსაც რაღაც გავლენის მოხდენა შეუძლია საბრძოლო ველზე, ანუ ბალისტიკურ რაკეტებს, ეს უკრაინას უკან დაახევინებს. რუსეთს იმ რაოდენობის იარაღი არ აქვს, რასაც ომში გარდატეხის შეტანა შეუძლია, მას ასეთი იარაღი რომ ჰქონდეს, აუცილებლად გამოიყენებდა.

- F16-ის გამოჩენა უკრაინის არმიაში რამდენად შეცვლის ომის მიმდინარეობას უკრაინელთა სასარგებლოდ?

- F16-ის ახლა გამოჩენას უკრაინაში, ცხადია, გავლენის მოხდენა შეუძლია, მაგრამ გამოჩნდება მაშინ, როცა გარკვეული მდგრადობა იქნება მიღწეული და მის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა არ მიენიჭება. ამ დროისთვის რუსეთიც მოიმარაგებს გარკვეულ იარაღს, კრემლიც ხომ ინფორმირებულია, F16-ები რომ უნდა გამოჩნდეს უკრაინაში, ამიტომ რუსეთი მოემზადება ამ მიმართებით, თანაც ნაკლებ სავარაუდოა, უკრაინამ იმ რაოდენობით მიიღოს F16-ები, რომ საბრძოლო ამოცანები უკლებლივ შეასრულოს.

- თქვენი აზრით, ხომ არ ცდილობს დასავლეთი უკრაინაზე ზემოქმედებას, რომ მშვიდობის სანაცვლოდ გარკვეული ტერიტორიები დათმოს?

- სულ მალე დაიწყება მსჯელობა - რა არის წაგება და რა - მოგება? დაიწყებენ იმის დასაბუთებას, რომ ეს წაგება არ არის, ამ ტერიტორიებით უკრაინა გადარჩა, როგორც სახელმწიფო, ასევე დაიწყებს საუბარს რუსეთიც, რომ მას მთელი უკრაინის განადგურების მიზანი არასდროს ჰქონია, მას უნდოდა მისი მოსახლეობის დაცვა ამ ტერიტორიებზე. აი, ამ ნოტაზე მიუსხდებიან, სავარაუდოდ, მოლაპარაკებების მაგიდას. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: უკრაინას დანებების უფლება არ აქვს იმიტომ, რომ რუსეთი აუცილებლად გადავა გამალებულ შეიარაღებაზე, დააგროვებს იარაღს და ისევ გააგრძელებს აგრესიულ მცდელობებს ამ ქვეყნის წინააღმდეგ.

- დასავლეთმა რა უნდა მოიმოქმედოს?

- ჩემი აზრით, მან უნდა გააგრძელოს რუსეთის დემოკრატიული ძალების დაფინანსება და მისი ფორმირებისთვის ბრძოლა, რუსეთს უნდა აგრძნობინოს, რომ სამხედრო ძალით პოლიტიკური მიზნების განხორციელება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვრებს გარეთ საერთაშორისო არენაზე მიუღებელი და არაფრის მომტანია, გარდა კრიზისისა და დამარცხებისა.

- დაბოლოს, დაწესებული სანქციები ამ თვალსაზრისით რამდენად მნიშვნელოვანია?

- ამ კითხვაზე მარტივი პასუხი მაქვს: რომ არა სანქციები, მაშ, რა? ეს ერთადერთი ალტერნატივაა რუსეთთან დაკავშირებით, სანქციებმა გარკვეულ მიზანს მიაღწია. ათწლეულებმა აჩვენა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებას და შეთანხმებას აზრი არ აქვს. განმეორებით აღვნიშნავ, რომ მის მიმართ ეკონომიკური სანქციების გაგრძელებით შესაძლებელია რუსეთის დაყვანა სრულ დემოკრატიზაციამდე. მსოფლიოში მაშინ შეიძლება დაისადგუროს მშვიდობამ, მხოლოდ ამის შემდეგ წარმატებით ავითვისებთ კოსმოსს და ადამიანის უფლებებზეც მშვიდად ვისაუბრებთ.

> ***„ ჩვენ აუცილებლად უნდა ვიყოთ ახალი მსოფლიო წესრიგის ინიცირების ფლაგმანი, ჩვენი როლი შევასრულოთ მის დამყარებაში, ახალი შეთანხმების ხელმოწერაში. უნდა მივიღოთ უსაფრთხოების, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობის გარანტიები. ამ პროცესებს არ უნდა ჩამოვრჩეთ და არ უნდა დაველოდოთ, თუ როგორ შეთანხმდებიან ამერიკა, რუსეთი, ჩინეთი, აქეთ - არაბული სამყარო და ევროკავშირი. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიყოთ ახალ მსოფლიო წესრიგზე საუბრის ინიციატორები, რომ ჩვენისთანა პატარა და გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანმა ქვეყანამ მიიღოს არსებობის გარანტია, დიახ, სწორედაც საერთაშორისო პროცესებში შეუფერხებლად მონაწილეობის გარანტია***

რა გავლენას ახდენს სათამაშო ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკაზე?

ხატია იაშვილი 555 18 48 88

დღეს სათამაშო ბიზნესი საქართველოში ძალიან პოპულარულია. ზოგადად, სადაც ეს ბიზნესი ლეგალურია, ყველა ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად აისახება. საქართველოში, როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, სათამაშო ბიზნესი მდიდარიცაა და მზარდიც. მაგალითად, 2022 წელს ამ ბიზნესის მთელი ბრუნვა 48 მილიარდიდან 52 მილიარდ ლარამდე გაიზარდა, რაც პრემიერისვე თქმით კატასტროფული მაჩვენებელია. ამავე სხდომაზე რომელიც ნოემბრის დასაწყისში გაიმართა, ირაკლი ღარიბაშვილმა დააანონსა, რომ სათამაშო ბიზნესს დამატებით ახალი რეგულაციები უწესდება, რაც 2024 წელს, დაახლოებით 400 მილიონი ლარით გაზრდის ქვეყნის ბიუჯეტს. ამ განცხადებამდე, პარლამენტში უკვე შესული იყო მმართველი პარტიის წევრების კანონპროექტი. ცვლილებების თანახმად, ონლაინკაზინოები და სლოტ-კლუბები მოგებიდან 10 პროცენტის ნაცვლად, 15 პროცენტს გადაიხდიან. სათამაშო აპარატების სალონები, რომლებიც აქამდე არ იბეგრებოდა, ახლა მოგების 15 პროცენტს დათმობენ ბიუჯეტის სასარგებლოდ

რა შეიცვლება ახალი კანონის მიღების შემთხვევაში? როგორია სათამაშო ბიზნესის ზოგადი სტრუქტურა და რა გავლენას ახდენს იგი საქართველოს ეკონომიკაზე? - ამ და სხვა მნიშვნელოვანი კითხვებით საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსსა და ვიცე-პრეზიდენტს, ევროხმელთაშუა ზღვის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერებათა დოქტორ ***ალექსანდრე თვალჭრელიძეს*** *მივმართეთ.*

- მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, სათამაშო ბიზნესი, მათ შორის სამორინეები და ონლაინკაზინოები წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის არამწარმოებლურ სფეროს, რომელიც ეკონომიკურად ძალიან ახლოსაა ისეთ სფეროებთან, როგორიცაა კრიპტოვალუტის ბაზარი, საბითუმო და სანედლეულო ბირჟები, ევროპული განათლების ფონდები, ლატარია, ვალუტის დერივატივები და სხვა. ყველა ეს ეკონომიკური სფერო ეფუძნება სპეკულანტების (სათამაშო ბიზნესის შემთხვევაში - მოთამაშეების) ჩართულობას, რაც, ჯამში, ამ ბაზრების ლიკვიდურობას განაპირობებს. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, გაჩნდა ონლაინკაზინოები და ეს, ჭეშმარიტად, ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად იქცა. მეტი გარკვეულობისთვის შევჩერდეთ კლასიკური სამორინეებისა და ონლაინკაზინოების ძირითად მახასიათებლებზე. კლასიკური სამორინე არის ეროვნული ეკონომიკური მანქანა იმ თვალსაზრისით, რომ, გადასახადების გარდა, ქმნის მნიშვნელოვან პირდაპირ და არაპირდაპირ ფულად ნაკადს (პერსონალის ხელფასები, სამორინე შენობის უზრუნველყოფა და ლოგისტიკა, რესტორნები და მრავალი სხვა), ასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას, მონაწილეობს უძრავი ქონების ბაზარზე, ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს და მრავალი სხვა, წარმოადგენს ტურისტული ბაზრის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს. მაგალითად, მონტე-კარლოსა და ლას-ვეგასში ჩასულების 95 პროცენტს სწორედ სამორინეები იზიდავს. აქვე დავძენთ, რომ ბათუმში, ვთქვათ, ისრაელიდან ტურისტების უდიდესი უმრავლესობა სწორედ სამორინეებში დროს გასატარებლად (და ფულის სახარჯად) არის ჩამოსული. ასევე, სამორინეები წარმოადგენს ქვეყნის თავისებურ, მაგრამ უფასო რეკლამას. მისი არსებობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტურიზმის განვითარებას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ აჭარა ტურისტულად მიმზიდველი გახდა არა ზღვის ანდა ჰავის (რომელიც არ არის იდეალური), არამედ სწორედ სათამაშო ბიზნესის მეშვეობით. სწორედ ამან გამოიწვია აჭარაში სამშენებლო ბუმი. თურქეთის კურორტები უფრო იაფი და კომფორტულია, მაგრამ უცხოელები სწორედ აჭარაში ჩამოდიან. რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურა ვითარდება, ხოლო თურქეთისა სტაგნაციაშია.

- რას გვეტყვით ონლაინკაზინოებზე? ამ მიმართულებასაც ბევრი მომხმარებელი ჰყავს.

- ონლაინკაზინო სუპერეროვნული ეკონომიკური მანქანაა იმ თვალსაზრისით, რომ აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელ ქვეყანაშია განთავსებული ბრაუზერი და საიდან ხდება მისი ადმინისტრირება. არავითარ მონაწილეობას არ იღებს ქვეყნის განვითარებაში და არ ქმნის სამუშაო ადგილებს, აზიანებს ტურიზმის განვითარებას, აქედან გამომდინარე, ეკონომიკურად არაპროფესიულად და სოციალურად გაუმართლებლად მიმაჩნია ამ ორი ბიზნესის ერთ საგადასახადო სისტემაში მოქცევა იმ პირობებში, როცა გვინდა, ჩვენი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას დავუახლოვოთ. და კიდევ... შეგახსენებთ, რომ ქვეყნის საგადასახადო სისტემა მისი ეკონომიკური სარკეა. იგი უნდა ვითარდებოდეს და იცვლებოდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან თანხვედრაში, სინქრონულად და სინერგიულად, ამიტომ ყოვლად დაუშვებელია საგადასახადო სისტემის შეცვლა ფართო საზოგადოებასთან, განსაკუთრებით, ბიზნესოპერატორებთან შეუთანხმებლად, ფართო დისკუსიისა და კონსენსუსის გარეშე.

- თქვენ ფიქრობთ, რომ დაანონსებული საგადასახადო ცვლილებები საქართველოს უარყოფით ეკონომიკურ ეფექტს მოუტანს?

- რომ დავაზუსტოთ, მოქმედი კანონმდებლობით, სამორინე ღებულობს ხუთწლიან ლიცენზიას, რომელიც უნდა იქნას გადახდილი. შესაბამისად, ლიცენზიის მესაკუთრე წინასწარ ითვლის იმ დანახარჯს, რაც ექნება ამ საქმიანობაში, ანუ ინვესტიციის დაგეგმვისას ხდება ყველა მონაცემის გათვალისწინება, რაც სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული ახალი დაბეგვრითი რეჟიმის პირობებში სულ სხვა სახეს იღებს, ამიტომ, ეკონომიკური მიზნებისთვის, გადასახადების დაუგეგმავი ზრდა ამ ბიზნესის ყოფნას და გამართულ ოპერირებას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს, რაც, პირველ რიგში, სარისკოა, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკისთვის. განსაკუთრებით დამაზიანებელია ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ძირშივე კლავს კონკურენციას, წვრილ და საშუალო ბიზნეს ბაზრიდან აძევებს და პრაქტიკულად მონოპოლისტურ პირობებს უქმნის თითოოროლა მსხვილ მოთამაშეს. გვახსოვდეს ისიც, რომ ნებისმიერი ასეთი ქმედება გვაშორებს ევროპას. არადა, შემოთავაზებული საგადასახადო ცვლილებები ზუსტად ამ ხასიათისაა, ამიტომ აბსოლუტურად გაუმართლებლად მიმაჩნია, ჯერ ერთი, სამორინეებისა და ონლაინკაზინოების ერთ საგადასახადო სივრცეში მოქცევა, მეორეც, ყოველგვარი ეკონომიკური გათვლების გარეშე სამორინეებისთვის ახალი, გაზრდილი გადასახადის დაწესება და, მესამეც - საგადასახადო რეჟიმის გაუფრთხილებლად შეცვლა. ეს წუთიერი სარგებლის მიღების ხარჯზე ჩვენს ეკონომიკურ მდგრადობას აკნინებს.

- ვფიქრობ, ეს ცვლილება ონლაინკაზინოებზე დამოკიდებულ ადამიანებზე დადებით ეფექტს მოახდენს. თქვენ როგორ მიგაჩნიათ?

- ონლაინკაზინოების შემთხვევაში, დაგეგმილმა ცვლილებებმა ნამდვილად შეიძლება იქონიოს პოზიტიური ეფექტი, მათ შორის, საზოგადოების მკაცრი შეზღუდვის მხრივ - ამ ცვლილებებმა შეიძლება შეამციროს მიდრეკილება ონლაინსამორინესადმი, რადგან საქართველოს მოქალაქეები, მეტწილად, სწორედ, ონლაინკაზინოს მომხმარებლები არიან და ამ მიმართულებით დაანონსებულ ცვლილებებს პოზიტიური ეფექტი ექნება. და პირიქით, ჩვეულებრივი (ლივ) კაზინოებისთვის ეს ეფექტი უარყოფითი იქნება არა მარტო სამორინე ბიზნესისთვის, არამედ ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების კუთხითაც (მათ შორის დასაქმება, უძრავი ქონების ბაზარი, ტურიზმი და მრავალი სხვა). ეს ცვლილებები მკვეთრად შეამცირებს უცხოელების ნაკადს და მათ ხარჯებს როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე ზღვისპირა კურორტებზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ ამ გაზრდილმა ნაკადმა ორიოდე წლის წინ დაგვაძლევინა პანდემიის უარყოფითი ეკონომიკური ეფექტი. საქართველოს ზღვისპირეთი სპეციფიკური რეგიონია, სადაც გვაქვს მოკლე ზაფხულის სეზონი წვიმიანი ამინდით და ძალიან მაღალი ფასები საცხოვრებელსა და კვებაზე მეზობელ კურორტებთან შედარებით. მეორე მხრივ, ეს რეგიონი წარმოადგენს ერთ-ერთ მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრს სათამაშო ტურიზმის მოყვარულთათვის. მას შემდეგ, რაც ბათუმში პირველი კაზინოები გამოჩნდა, ეს ქალაქი იქცა ერთგვარ მექად ჯერ თურქებისთვის, შემდეგ - ებრაელებისა და არაბებისთვის. სწორედ სათამაშო ბიზნესის წყალობით დაიწყო ბათუმში 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების მშენებლობა, განვითარდა ინფრასტრუქტურა, გაიხსნა რესტორნები, კლუბები, ბარები, სავაჭრო და ესთეტიკური ცენტრები და სხვა. სათამაშო ინდუსტრია უზრუნველყოფს უცხოური ვალუტის და მდიდარი ტურისტების შემოდინებას რეგიონში, რომლებიც დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ სათამაშო პროცესით, არამედ, უძრავი ქონების შეძენით და არიან შოპინგცენტრების, კვების ობიექტების, საკურორტო, სამედიცინო და სხვა სერვისების აქტიური მომხმარებლები და ინვესტორები. აღნიშნული გარემოება რეგიონში ქმნის სამუშაო ადგილებს, ადგილობრივ მოსახლეობას აძლევს საშუალებას, განავითაროს მცირე და საშუალო ბიზნესი. ამიტომ ეჭვგარეშეა, რომ სათამაშო ბიზნესი პოზიტიურ როლს თამაშობს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში. გარდა ამისა, და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, სწორედ სათამაშო ინდუსტრიამ გარდაქმნა სეზონური ტურისტული ცენტრი უნისეზონურ ცენტრად, მათ შორის, უზრუნველყო სასტუმროების სრული დატვირთვა მთელი წლის განმავლობაში. დღეს სასტუმროებს, აღნიშნული გარემოებების წყალობით, აღარ უწევთ მომსახურე პერსონალის შემცირება შემოდგომიდან გაზაფხულამდე, რაც, რასაკვირველია, აისახება მოსახლეობის შემოსავლებზე. ჩემი აზრით, მთავრობა უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ რა ეკონომიკური ეფექტი ექნება სათამაშო ბიზნესის კოლაფსს, რისი საშიშროებაც, რასაკვირველია, არსებობს. ხომ არ გამოიწვევს იგი ფართომასშტაბიან ეკონომიკურ კრიზისს და შედეგად, სოციალურ არეულობას? გვახსოვდეს ისიც, რომ ეკონომიკაში მარტივი გადაწყვეტილებები, როგორც წესი, იწვევს მკვეთრად უარყოფით ეფექტს, რაც არაერთხელ გვიგემია, ამიტომ... ხომ არ ჯობია სუფთა მოგების გადასახადის შემოღება? ასეთი გადასახადის განჭვრეტა, გამოთვლა და პროგნოზირება ადვილია და სათამაშო ბიზნესის წარმომადგენლებს გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების შესაძლებლობას მისცემს.

> **”** *აჭარა ტურისტულად მიმზიდველი გახდა არა ზღვის ანდა ჰავის (რომელიც არ არის იდეალური), არამედ სწორედ სათამაშო ბიზნესის მეშვეობით. სწორედ ამან გამოიწვია აჭარაში სამშენებლო ბუმი. თურქეთის კურორტები უფრო იაფი და კომფორტულია, მაგრამ უცხოელები სწორედ აჭარაში ჩამოდიან. რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურა ვითარდება, ხოლო თურქეთისა სტაგნაციაშია*

ცნობისთვის: *ისტორიულად, სათამაშო ბიზნესი გაჩნდა ფულის ეკვივალენტის გაჩენისთანავე. ჰომეროსის „ილიადაში“ აღწერილია ოლიმპოს ღმერთების აზარტული თამაშები ბრძოლაში გამარჯვებულის დასადგენად. ითვლება, რომ პირველი სამორინე დაარსდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 557 წელს, როცა რომის მეფე ტარკვინიუს ლუციუს პრისკმა ე. წ. დიდი ცირკი ააშენა, რომელიც რომში სათამაშო ბიზნესის ცენტრი გახდა. ალბათ, სახსენებელიც არ არის მონტე-კარლოსა და ლას-ვეგასის მაგალითები, სადაც სამორინეები გადაქცეულია ჭეშმარიტ ეკონომიკურ მანქანებად და მთლიანად უზრუნველყოფს ადგილობრივ ბიუჯეტს, ხოლო მონაკოს შემთხვევაში, წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის ძირითად წყაროს. აქვე დავძენთ, რომ სათამაშო ბიზნესი დიდ როლს თამაშობდა და თამაშობს საგარეო პოლიტიკაში, განსაკუთრებით, ცივი ომის პირობებში. გავიხსენოთ, თუნდაც იან ფლემინგის უცნობილესი რომანი „კაზინო როიალი“, რომელშიც პირველად ჩნდება ჯეიმს ბონდი.*

ბიძინა მახარაძე – „მსოფლიო იუმორის პატრიარქი“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

პაროდისტი, მომღერალი, მსახიობი, იუმორისტულ პროექტ „იუმორინას“ ერთ-ერთი მონაწილე ბიძინა მახარაძე ნახევარ საუკუნეზე მეტია მაყურებელს ხიბლავს თავისი შემოქმედებით. დღეს იგი ჩვენი სტუმარია

- მერვე კლასი გონიოში დავამთავრე. კარგად მახსოვს გაზეთი „საბჭოთა აჭარა“. აღარ მეგონა, თუ ის კიდევ არსებობდა.

- საუკუნოვანი იუბილეც გადავიხადეთ...

- მისასალმებელია, რომ რეგიონს ასეთი ასაკოვანი პერიოდული გამოცემა აქვს. ჩემი წილი მადლობა იმ ადამიანებს, რომლებიც ამ გაზეთს აცოცხლებენ. ისიც სათქმელია, რომ ამ რევოლუციებსა და გადატრიალება-გადმოტრიალებას მრავალი სასიკეთო რამ შეეწირა, „აჭარა“ კი ისევ გამოდის. არ ჩაიმუხლოთ, ჟურნალისტებმა და გაზეთის დამფინანსებლებმა საქმეს ზურგი არ შეაქციოთ.

- ბათუმს ხშირად სტუმრობთ. ამჯერად საგვარეულო შეკრებაზე ჩამობრძანდით...

- ადრე მესმოდა, რომ გვარები შეკრებებსა და ყრილობებს ატარებდნენ. ახლა გავიგე, რომ საგვარეულო კავშირი ჩამოუყალიბებიათ, საგვარეულო გერბი შეუქმნიათ, „საპატიო მახარაძის“ წოდება დაუწესებიათ, რომელიც ერთ-ერთ პირველს მომანიჭეს. ეს დიდი პატივია. შეკრებას მახარაძის გვარის 200-ზე მეტი მატარებელი დაესწრო, საპატიო სტუმრებიც გვყავდა მოწვეული. პირადად გავიცანი გინესის რეკორდსმენი გოდერძი მახარაძე, თურქეთში მოღვაწე ეშრეფ ილმაზი (გოდერძი მახარაძე). მან წიგნი „ილიას კვალზე“ გვისახსოვრა. ადრე ანალოგიურ შეკრებაზე კოტე მახარაძე მესაუბრა. გაგონილს ნანახმა ნამდვილად აჯობა. კოტეს კარგად ვიცნობდი. ის დაუზარელი, მუდამ შემართული, ქვეყანაზე, ჯიშსა და ჯილაგზე შეყვარებული პიროვნება გახლდათ.

- აჭარაში დაიბადეთ. რა ადგილი უჭირავს ამ კუთხეს თქვენს ცხოვრებაში?

- სადაც დაიბადე და გაიზარდე, იმ კუთხეს ყოველთვის პატივი უნდა მიაგო. 1952 წლიდან 1967 წლამდე აქ ვცხოვრობდი. როგორც გითხარით, რვა კლასი გონიოში დავამთავრე. ბავშვობის წლები ყველაზე ძვირფასია. მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: მოსკოვში, თბილისში ვცხოვრობდი, მაგრამ ბათუმს ვერაფერი შეედრება. ის ერთადერთი ქალაქია, რომლის მიმართ გრძნობა მაქვს.

- როგორ შემოვიდა თქვენში ხელოვნება?

- ნიცშე ამბობდა: შვილიშვილმა ის უნდა აკეთოს, რასაც ბაბუა აკეთებდაო. მე ბაბუის გზას გავყევი. შალვა მახარაძე გურიაში ცნობილი მომღერალი, ლოტბარი, მსახიობი კაცი იყო. ტატიანა მახარაძე - მომღერალი და მეფანდურე მან გაზარდა. ამ ქალბატონზე ლეგენდები დადიოდა. ვასილ მახარაძეს დიდი წვლილი მიუძღვის გურული სიმღერების ნოტებზე გადატანაში. ჩემი ბიძაშვილი ავთო მახარაძე ჩოხატაურში მოქმედ ანსამბლ „შვიდკაცას“ ხელმძღვანელობს. რეზო მახარაძე „კრიმანჭულის“ უბადლო შემსრულებელი იყო, ასე რომ, ჩემი წარმატება გენეტიკურია. მამაჩემი აბესალომ მახარაძე ქორწილებისა და საზეიმო შეკრებების გამამხიარულებელი გახლდათ, სხვის გახალისებას კარგად ახერხებდა და მოსწონდა ეს საქმე. მეც ბევრი რამ მათგან გადმომყვა, ბევრიც დავამატე და...

- მაყურებლის წინაშე თქვენი პირველი გამოსვლა...

- პროფესიულად, ეს 1976 წელი იყო, მანამდე კომაროვის სკოლის მოსწავლე და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი პაროდიებს ვასრულებდი, პანტომიმაც ვცადე, მაგრამ მაყურებლის ყურადღება ვერ მივიქციე. პაროდიები რომ დავიწყე, ახალი ხილი იყო. ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც საქართველოში პაროდია შემოვიტანეთ. ვგულისხმობ დიდ რაოდენობას, თორემ ცოტას შემსრულებლები ადრეც იყვნენ: ქართლოს კასრაძე, თენგიზ ჩანტლაძე...

- ნახევარი საუკუნეა პაროდისტი ხართ. ვინმეს დისკომფორტი შეუქმნით?

-კი. გამორჩეულებს გავიხსენებ: მე და ზურა ქაფიანიძე ვმეგობრობდით. მასზე მქონდა პაროდია. არ მომეწონაო, მითხრა დამდურებით. რა არ მოგეწონა? - ვკითხე განცვიფრებულმა. რეზო ჩხეიძის ფილმში „ჯარიასკაცის მამა“ თითქოს რეჟისორს ეხვეწება: მამის როლი მათამაშეო. ეს სიუჟეტური სვლა იყო, რაც არ მოეწონა: ვინმეზე სათხოვარი რა მაქვსო. ასევე, მქონდა მუსიკალური პაროდია აზერბაიჯანელ მომღერალ ფოლად ბულბულ ოღლიზე. ეს პაროდია სამთავრობო კონცერტზე გავიტანე, რომელსაც მისი ქვეყნის კულტურის მინისტრის მოადგილე ესწრებოდა. მან ეს ქვეყნებისა და ორი ერის დაპირისპირებად შეაფასა, რაც ყოვლად წარმოუდგენელი იყო. ალბათ, ესეც კომუნისტური რეჟიმიდან მოდიოდა. ლენა ყიფშიძის ამბავიც არ მავიწყდება. ის ლეგენდარული ქალბატონი გახლდათ, რომელსაც ედუარდ შევარდნაძის პაროდიაზე ჰქონია გართულება. კონცერტის წინ მოვიდა და მთხოვა: ედუარდ შევარდნაძეზე პაროდია არ გააკეთოო. შევპირდი, არა-მეთქი, მაგრამ...

- პოლიტიკოსები ხომ არ გაგინაწყენებიათ?

- ერთხელ ლეიბორისტების ლიდერი შალვა ნათელაშვილი გამიბრაზდა. მესიჯიც გამომიგზავნა - ეს რატომ გააკეთეო. იფიქრა, რომ ეს პაროდია ბიძინა ივანიშვილმა დამიკვეთა. მომახალა კიდეც: შენც ალბათ იმათ სიაში ხარ, ვისაც ბიძინა ეხმარებაო, რაც სიმართლესთან კავშირში არ იყო. ეს როცა გაიგეს, დაწყნარდნენ. ფიქრობდნენ, პაროდიებს შეკვეთით ვწერდი. ერთსაც გავიხსენებ: ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სამთავრობო კონცერტი გაიმართა, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ესწრებოდა. მის პაროდიებს რომ უყურა, ძალიან გამხიარულდა. მე ასეთი მოლოდინი არ მქონდა. შემდეგ გავიგე, რომ იუმორის დიდოსტატი ყოფილა.

- ქართველ მწერლებთან ურთიერთობაზე რას იტყვით?

- წიგნი და კითხვა მიყვარს. როცა ადამიანი კითხულობს, მას განვითარებული გონება აქვს, არც იუმორი აკლია, ხუმრობასაც აიტანს. ხშირად მივდივარ ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ძირითადად იუმორისტულ ლიტერატურას ვეცნობი, მაგრამ არც სხვა ჟანრის წიგნებზე ვარ მწყრალად. მწერლების პაროდია არ მქონია, მათ შემოქმედებას ვაფასებ. ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ სახით ქართველებს მსოფლიო მასშტაბის შედევრი გვაქვს. გამოგიტყდებით და... ნიკო ფიროსმანთან დიდ სიახლოვეს ვგრძნობ. ბავშვობაში ვხატავდი კიდეც.

- თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებებში უცხო სიტყვების შემოტანას და ძირძველი ქართული სიტყვების ენიდან განდევნას როგორ ეგუებით?

- ეს ყველაფერი დრომ მოიტანა. სიტყვის თავისუფლება ეროვნულის, ქართულის იგნორირებას არ ნიშნავს. ცენზურა აღარაა. ხელოვნება კომერციული გახდა. მას იდეური დატვირთვა აღარ აქვს. მარტო ლიტერატურაში კი არა, უცხოურის დამკვიდრებას ყველგან და ყველაფერში ვხედავთ. ეს მოიტანა ახალმა ეკონომიკურმა ფორმაციამ.

- „იუმორინასთან“, მამა-შვილ ბაღაშვილებთან კეთილი ურთიერთობები სათავეს საიდან იღებს?

- ბატონი ჯემალი სახელმწიფო ფილარმონიაში საესტრადო განყოფილებას ხელმძღვანელობდა, როცა გავიცანი. „ოვერიაში“ როდესაც მღეროდა, ერთობლივ კონცერტებში ვმონაწილეობდით. პროექტი „იუმორინა“ რომ შექმნა, მოსკოვში გახლდით. ჩამოვედი და... იქიდან მოყოლებული, ერთად მოვდივართ.

- ნახევარი მსოფლიო შემოვლილი გაქვთ. ინტერესმოკლებული არ იქნება კურიოზის გახსენება...

- კურიოზი იყო ნამდვილად, როცა ისრაელში, სადაც, სხვათა შორის, 5-ჯერ ვარ ნამყოფი, წამყვანმა მსოფლიო იუმორის პატრიარქად გამომაცხადა... ბარემ იმასაც ვიტყვი, რუსებმა კინაღამ ქალად რომ მაქციეს: ჩემი სახელი წაიკითხეს, ქალის ეგონათ და ჩაწერეს: ბიძინა აბესალომოვნა მახარაძე.

„ერთხელ ლეიბორისტების ლიდერი შალვა ნათელაშვილი გამიბრაზდა. მესიჯიც გამომიგზავნა - ეს რატომ გააკეთეო. იფიქრა, რომ ეს პაროდია ბიძინა ივანიშვილმა დამიკვეთა. მომახალა კიდეც: შენც ალბათ იმათ სიაში ხარ, ვისაც ბიძინა ეხმარებაო, რაც სიმართლესთან კავშირში არ იყო. ეს როცა გაიგეს, დაწყნარდნენ. ფიქრობდნენ, პაროდიებს შეკვეთით ვწერდი“

მწვერვალზე ასვლამდე რა უნდა იცოდეს მთამსვლელმა?

2019 წელს იუნესკომ ალპინიზმი არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარა

ჩვენი სტუმარია აჭარის მთამსვლელთა და მეკლდეურთა კავშირის თავმჯდომარე ***ზია ჭანკურიძე,*** *რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის აჭარაში სპორტის ამ სახეობის განვითარებაში.*

- ბატონო ზია, რატომ აირჩიეთ ეს სახეობა?

- სტუდენტობის დროს, 90-იან წლებში, მთამსვლელთა სასწავლო სპორტულ სკოლაში „აილამა“ დავდიოდი - იყო ასეთი სპორტულ-ტურისტული ბანაკი სვანეთში. სწორედ იქ იკრიბებოდნენ ყველა კუთხიდან მოყვარული ახალგაზრდები, რომელთა შორის მეც ვიყავი. ამ ბანაკში ხუთი წლის განმავლობაში მთამსვლელობის შესახებ ყველაფერს დეტალურად, საფუძვლიანად გვასწავლიდნენ - როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. ამის შემდეგ სპორტული თანრიგი გვენიჭებოდა. სწორედ აქ დავიწყე მთაში ლაშქრობები. იმ დროს ბათუმიდან სვანეთში მთაში არავინ დადიოდა, მეგობრები შევკრიბე და წავიყვანე. თავდაპირველად ცოტანი ვიყავით, მერე, თანდათან, ბევრი მსურველი

გამოჩნდა. 1995 წელს ჩვენთან - კვარიათში კლდეზე ცოცვაში ცნობილ მთამსვლელ მიხეილ ხერგიანის მემორიალი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა, შემდგომ კი ბავშვებთან მუშაობა, მეკლდეურთა გუნდის გაწვრთნა შემომთავაზეს. 1997 წელს მთამსვლელთა და მეკლდეურთა კავშირი დავაფუძნეთ. აქედან მოყოლებული, ყოველ წელს ვიღებთ გარკვეულ დაფინანსებას და ვაწყობთ სხვადასხვა შეჯიბრებას, მათ შორის - აჭარის ჩემპიონატს. ასე დაიწყო ჩემი სპორტული მოღვაწეობა.

- აღმოჩნდა თუ არა მთამსვლელობა ის, რაც გსურდათ?

- თავდაპირველად ეს ჩემთვის გატაცება იყო, დავდიოდი მთებში, რადგან იქ სულ სხვა სილამაზეა ბართან შედარებით. პირველი მწვერვალი, რომელზე ასვლაც დავაპირე, ნინოშვილი იყო, 3000 მეტრ სიმაღლეზე. იმ დღეს ცუდი ამინდი იყო. გული მწყდებოდა, რომ მწვერვალზე ვერაფერს ვიხილავდი. ასვლამდე ცოტათი ქვემოთ დავბანაკდით. გამთენიისას, მწვერვალისკენ ასვლას რომ შევუდექით, ჩვენს თავზე თანდათანობით რაღაც ნათდებოდა და ცისფერი ფერი უფრო და უფრო მუქდებოდა. აღმოჩნდა, რომ ღრუბლებს ზემოთ ვიყავით: უზარმაზარი ღრუბლების ოკეანე - ქვემოთ! ეს იყო საოცრება. ენით აღუწერელი სიხარული ვიგრძენი. ის პირველი შთაბეჭდილება სულ ჩემთანაა.

- რა წარმატებებს მიაღწიეს თქვენმა აღზრდილებმა?

- 1996 წელს მიხეილ ხერგიანის მემორიალი გაიმართა, სადაც მონაწილეობა მთამსვლელობით დაინტერესებულ ახალგაზრდებს უნდა მიეღოთ და ეს საქმე მე მომანდეს. ასე დაიწყო ბავშვებთან მუშაობის ისტორია. რაც შეეხება წარმატებებს, ჩემმა მოსწავლეებმა არაერთხელ გამახარეს. აღვზარდე საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი, საპრიზო ადგილებზეც არაერთი გასულა. ჩემი ორი მოსწავლე - როსტომ დიასამიძე და ანა ბოლქვაძე საქართველოს ვიცე-ჩემპიონები არიან.

- მწვერვალზე ასვლამდე რა უნდა იცოდეს მთამსვლელმა?

- მწვერვალზე ასასვლელად ბევრი რამის ცოდნაა აუცილებელი, ეს არაა კლდეზე ცოცვა, აქ უნდა იცოდე: ყინულზე ცოცვა, თოვლში სიარული, კვანძებით თავის დაცვა, მეგობრის დაცვა, აღჭურვილობის გამოყენება. დისციპლინა აქ აუცილებელია. რა თქმა უნდა, წასვლამდე ბავშვების გადამზადება ხდება. ფიზიკურად უფრო ძლიერ ბავშვებს ვარჩევთ, რომ ამ ყველაფერს გაუმკლავდნენ. მთამსვლელობის წესად შემიძლია დავასახელო გუნდურობა - გუნდი უნდა იყოს შეკრული, მეგობრული, ასე უფრო უსაფრთხოდ იქნებიან.

- ცუდი შემთხვევა, რომელიც ყოველთვის გახსოვთ...

იხ. მე-7 გვ.

„ყველაზე დიდ მიღწევად ვთვლი იმას, რომ ჩემი ქვეყნის უამრავ ბავშვს გავაცანი ეს პროფესია, შევაყვარე მობილურის გარეშე, მეგობრებთან ერთად კარავში ცხოვრება, მოგონებების დაგროვებაში დავეხმარე მათ. მთავარი კი ის არის, რომ ახალგაზრდებს სამშობლოსადმი სიყვარული გავუძლიერე“

რა გავლენას ახდენს მშობლის ტრავმა ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე?

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

ცხოვრებაში ადამიანს არაერთი ფსიქოლოგიური ტრავმის გადატანა უწევს, რომელიც ცვლის მის ცხოვრებას. მართალია, ტრავმაზე რეაგირება ინდივიდუალურია და დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე, მაგრამ შესაძლოა მან წარუშლელი კვალი დატოვოს ადამიანის ფსიქიკაზე და თუ არ მოხდება დროულად ჩარევა, მშობლიდან შვილზეც გადავიდეს

რა გავლენას ახდენს მშობლის ტრავმა ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე? - ამ და სხვა საინტერესო თემაზე ბავშვთა და მშობელთა ფსიქოლოგი ***ნინო ბაჯელიძე*** *გვესაუბრება.*

- აისახება თუ არა ბავშვობის ტრავმა ჩვენს ცხოვრებაზე?

- რა თქმა უნდა, აისახება. ხშირად ბავშვობაში განცდილი მოვლენები ზრდასრულობისას სერიოზული გართულებების გამომწვევი ხდება. მეტწილად ცხოვრებისეული გამოწვევები და ზრდასრულობისას გადაულახავი საკითხები: ფობიები, შიშები, ემოციური არასტაბილურობა, ხშირად განმეორებადი პრობლემური მოვლენები ბავშვობის ტრავმული გამოცდილების შედეგია.

- რა ასაკში ფორმირდება ბავშვობის ფსიქოტრავმები?

- ძირითადად, 6 წლამდე ასაკში, რადგან ეს ის ასაკია, როდესაც ბავშვს ჯერ არ აქვს განვითარებული კრიტიკული აზროვნება, იმას, რაც ესმის და რასაც ხედავს, ყოველგვარი განსჯის გარეშე იჯერებს და ერთადერთ სიმართლედ მიაჩნია. შეიძლება ფსიქოტრავმა ექვსი წლის შემდეგაც მიიღოს მოზარდმა: ახლობელ ადამიანთან განშორება, ახლობლის ან საყვარელი ცხოველის გარდაცვალება, ომი, სხვადასხვაგვარი ძალადობა, მშობლების განშორება და სხვა ფსიქოლოგიური ტრავმის გამომწვევია. აქ მთავარია ჩვენი დამოკიდებულება კონკრეტული მოვლენის მიმართ, როგორ შევაფასებთ და მივაწოდებთ მას ბავშვს. მაგალითად, მშობლების დაშორების დროს, როცა განაწყენებული ერთ-ერთი მშობელი, ბავშვების თანდასწრებით გამოხატავს ბრაზს ან პირდაპირ ეუბნება რომ „მიგვატოვა“, „ახლა სხვა ოჯახი ჰყავს“, „ჩვენ არ ვჭირდებით“, „ის ცუდი ადამიანია“, „მოღალატეა“, „მატყუარაა“... რა თქმა უნდა, მსგავსი ქცევა პატარას ძალიან დიდ ტრავმას აყენებს, თავს არასაჭიროდ და მიტოვებულად გრძნობს, რაც დიდობაში დაბალ თვითშეფასებაში და პირადი ურთიერთობების სირთულეში გამოიხატება. არადა, შესაძლებელია ამ ფაქტის სწორად მიწოდება, საკუთარი ემოციების და შეფასებების გარეშე, მაგალითად, იმის თქმა, რომ მშობლები ისევ მისი მშობლები არიან, რომ ის მნიშვნელოვანი ადამიანია მათ ცხოვრებაში და მის ადგილს ვერავინ დაიკავებს, მამას და დედას ისევ უყვარს და ძველებურად გაგრძელდება მათი ურთიერთობა.

- როგორ ამოვიცნოთ ბავშვობის ტრავმები?

- ეს არის არაადეკვატური რეაგირება, კონტექსტის შეუსაბამო ქცევები, არარეალური აღქმები, საკუთარ შექმნილ სამყაროში ცხოვრება, სოციალური ურთიერთობების არარსებობა, ემოციური არასტაბილურობა და სხვა.

- აისახება თუ არა ეს ყველაფერი ადამიანზე ზრდასრულ ასაკში?

- რა თქმა უნდა. ეს ჩნდება თვითრეალიზების პრობლემები, დაბალი თვითშეფასება, მიტოვების შიში, „მე კარგი ვარ“, „მე ვიმსახურებ არსებობას“, - ამის მტკიცება საკუთარი თავისთვის დაზიანების ხარჯზეც კი. ასეთ ადამიანს არ მოსწონს საკუთარი თავი ისეთი, როგორიც არის, ცდილობს, სხვებთან ურთიერთობაში იყოს ისეთი, როგორც პარტნიორს, მეგობარს, უფროსს, თანამშრომელს თუ სხვას მოეწონება და ამით გაამართლოს საკუთარი არსებობა. თუ ბავშვობისას განგიცდიათ ძალადობა, ემოციური ან ფიზიკური უგულებელყოფა, ტრავმის სიმპტომები ზრდასრულ ასაკშიც გექნებათ. ბავშვები განიცდიან გარე სამყაროში მომხდარს და საკუთარ თავში სამყაროს „შინაგან რუკას“ ქმნიან. ზრდასთან ერთად ეს „რუკა“ იცვლება და ვითარდება. ტრავმულ პირობებში ბავშვები ასაკის კვალდაკვალ აღარ ქმნიან ახალ „რუკებს“ და სამყარო მუდმივად „ბავშვური“ ინტერპრეტაციით აღიქმება, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, რომლებიც ასოციაციურად ტრავმულ მოვლენას უკავშირდება.

- არის თუ არა უფროსებში ტრავმაზე ემოციური რეაგირების ყველაზე გავრცელებული ტიპები?

- კი, ეს არის „ცრუ პიროვნება“. არაერთი ზრდასრული ადამიანი მინახავს, რომლებსაც ძალიან ძლიერი კომპენსატორული მექანიზმები აქვთ და ტრავმულმა გამოცდილებამ მათზე, ერთი შეხედვით, გავლენა ვერ მოახდინა. ისინი პროფესიულად წარმატებულები არიან, ადვილად ამყარებენ სოციალურ კავშირებს, აქვთ ოჯახი. თითქოს არაფერი აკლიათ, მაგრამ მაინც სიცარიელეს განიცდიან. ძალიან ხშირად, ასეთ დროს, საქმე გვაქვს ცრუ პიროვნებასთან. ვიდრე პატარები ვართ, გვინდა, მშობლებს ვუყვარდეთ და მოგვიარონ. თუ ჩვენი მშობლები ასე არ იქცევიან, ვცდილობთ, გავხდეთ ისეთი ბავშვი, რომელსაც ისინი შეიყვარებენ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, დავიმსახუროთ მათი სიყვარული. ამავე დროს, ვმალავთ ემოციებს, რომლებიც მშობლებს არ მოსწონთ. შესაბამისად, ვქმნით ცრუ პიროვნებას, რომელსაც სამყაროს წარვუდგენთ. თანდათან ვეჩვევით ჩვენს ნამდვილ ემოციებზე უარის თქმას და შედეგად ვკარგავთ იმის განცდას, ვინ ვართ სინამდვილეში. ვიზრდებით და გამუდმებით გვეშინია, რომ თუ ეს ნიღაბი ჩამოგვივარდა, აღარ მოგვივლიან, აღარ ვეყვარებით ან აღარ მიგვიღებენ. მთელი ჩვენი ფსიქიკური ენერგია ამ ნიღბის შენარჩუნებას ხმარდება. ასეთი ადამიანი მუდმივად გახლეჩილია ორ სამყაროს შორის. ამ სამყაროთაგან ერთი რეალურია, რომელსაც მუდმივად უარყოფს, ხოლო მეორე - იდეალური ილუზია. საკუთარი თავის მიღება ისეთად, როგორებიც ვართ, არ არის ადვილი, როცა ამ ყველაფერს ბავშვობის ტრავმები ერთვის თან, მაგრამ თუ ასე არ მოვიქცევით და სანიმუშო ფიგურის როლის მორგებას გავაგრძელებთ, საბოლოოდ იმას მივიღებთ, რომ სარკეში ჩახედვისას ჩვენს თავს ვეღარ ვიცნობთ და მოგვეჩვენება, რომ ჩვენს ნაცვლად ჩვენი ცხოვრებით სხვა ვინმე ცხოვრობს. მეორე სახეობაა „მსხვერპლის პოზიცია“. ის, თუ რას ვფიქრობთ საკუთარი თავის შესახებ ხშირად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გავაძლიერებთ ან დავასუსტებთ საკუთარ თავს. როდესაც თავს მხოლოდ უარყოფითად ვაფასებთ, ვასკვნით, რომ ჩვენი ცხოვრება ჩვენს ხელთ არ არის, მოვლენების მსხვერპლი ვართ და მეტი არაფერი, ასე ვთქვათ, ბედს ვეგუებით. შესაძლოა, ბავშვობაში ჩვენზე ძლიერი უფროსების მსხვერპლი ვიყავით, მაგრამ ზრდასრულებს გვაქვს შანსი, მსხვერპლი აღარ ვიყოთ, ახლა უფრო მეტი ძალაუფლებაა ჩვენ ხელთ და მეტად შეგვიძლია საკუთარი ცხოვრების შეცვლა. მსხვერპლის როლში კი არაერთი რამის გამო შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვი.

- რას გულისხმობთ?

- მაგალითად, ჩაგვრა საზოგადოების მხრიდან (ე. წ. ბულინგი), ძალადობა, როგორც ფიზიკური, ასევე, ფსიქოლოგიური. განვიხილავ იმ შემთხვევას, როდესაც თავად მშობელი ცდილობს მსხვერპლის როლის მორგებას. ასეთ შემთხვევაში, მშობელი ბავშვობიდანვე გაუცნობიერებლად მსხვერპლის როლშია, აქვს დაბალი თვითშეფასება, თვლის, რომ არ იმსახურებს კარგად ყოფნას. თუ დროული ჩარევა არ მოხდა, ადამიანი ყალიბდება ისეთ მშობლად, რომელიც ვერ გამოდის მსხვერპლის როლიდან, ბავშვს კი ზედმეტი პასუხისმგებლობები ეკისრება. მისთვის მაშველის როლის მინიჭება ან წახალისება, ასევე, ანადგურებს ჯანსაღ საზღვრებს, რომელიც უნდა არსებობდეს მშობელსა და შვილს შორის. ეს შეიძლება პრობლემად დარჩეს სრულწლოვანებამდე. ზრდასრულ ადამიანს წლები დასჭირდება იმის გასაგებად, თუ როგორ არის მსხვერპლის თამაშში ჩართული, მშობლის ქცევა აქცევს ბავშვს მჭიდროდ განსაზღვრულ როლში. ასეთ დროს ყურადღება არ ეთმობა ბავშვის სურვილებსა და საჭიროებებს, მისი მოთხოვნილებების გამოხატვას შეიძლება მოჰყვეს წინააღმდეგობა ან დასჯაც კი. ბავშვი სწავლობს გრძნობებისა და აზრების ჩახშობას, ეს კი გრძელდება ზრდასრულ ასაკში. შემდეგი სახეობაა „პასიური აგრესიულობა“. როდესაც ბავშვები ისეთ ოჯახში იზრდებიან, სადაც ბრაზის ჯანსაღი გამოხატვა აკრძალულია. მათ მთელი ცხოვრება სჯერათ, რომ ეს დაუშვებელი ემოციაა. თუ ბავშვობაში აგრესიას შესწრებიხართ, შესაძლოა გჯეროდეთ, რომ ბრაზი ყოველთვის ძალადობას გულისხმობს და, შესაბამისად, უნდა შეკავდეს. არადა, ბრაზი აუცილებელია პიროვნული საზღვრების დასასმელად, თავის დასაცავად, უსიამოვნო ადამიანებისგან დისტანცირებისათვის და, რაც მთავარია, არასასურველი გარემოს შესაცვლელად.

- რა ხდება, როდესაც ბრაზს ვერ გამოვხატავთ?

- არაფერი ხდება და არაფერი იცვლება. კვლავ განვიცდით ბრაზს (ბრაზი საბაზისო ემოციაა და ყველას ბუნებრივად გვახასიათებს), მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ გამოვხატოთ ის და შედეგად გადავჭრათ პრობლემა, რომელიც გვაბრაზებს, უბრალოდ, გაბრაზებულები ვრჩებით. ვინაიდან ბრაზის შეკავება შეუძლებელია, ვიწყებთ მის ირიბად, პასიურ-აგრესიულად გამოხატვას. მუდამ დაგუბებული ბრაზით დავდივართ. მნიშვნელოვანია, რომ ყველამ ისწავლოს ბრაზის სწორი გზით გამოხატვა და არ მოხდეს მისი უდანაშაულო ადამიანზე გადატანა.

- როგორ მოქმედებს ბავშვობის ტრავმა აღზრდის სტილზე?

- ტრავმირებული მშობლები მუდმივად ცდილობენ შვილების დაცვას ტრავმებისგან და ზოგჯერ ამ დაცვით გარკვეულ შეზღუდვებსაც კი უწესებენ საკუთარ შვილებს. ზედმეტი კონტროლი, ბავშვობის ტრავმა აღზრდის სტილში შესაძლოა გამოვლინდეს იმ გზითაც, რომ მშობლებმა დაიწყონ შვილების გაკონტროლება ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში. მართალია, ამ დროს მშობლის მიზანი ძირითადად შვილის დაცვაა, მაგრამ მეტწილად, საპირისპირო შედეგს ვიღებთ და ბავშვი აკრძალვების ფონზე მეამბოხედ ყალიბდება.

- დაბოლოს, რას ურჩევთ მშობლებს?

- ნებისმიერ შემთხვევაში, პირველი ნაბიჯი არის პრობლემის აღიარება. თუ არის პრობლემა, გამოსავალიც მოიძებნება. ანუ, პირველ რიგში, უნდა გააცნობიეროთ ის ფაქტი, რომ ტრავმა გაქვთ გადატანილი. არ დაგეგმოთ წარსულით. ხშირად, ტრავმის კადრებს ვატრიალებთ და ათასგვარი გზით ვცდილობთ მის შეცვლას. ნუ იმოქმედებთ პრინციპით: „რა მოხდებოდა, ასე რომ მომხდარიყო“, იმოქმედეთ პრინციპით: „აქ და ახლა რა გავაკეთო.?“. შეწყვიტეთ საკუთარი თავის დადანაშაულება, დაუმეგობრდით და გაალვიძეთ საკუთარი შინაგანი ბავშვი, რომელიც ყველას გვყავს. ისაუბრეთ თქვენს პრობლემებზე ღიად და ნუ მოგერიდებათ მხარდაჭერის მიღება საზოგადოებისგან. ხშირად ესაუბრეთ შვილებს ყოველდღიურ თემებზე და არა მხოლოდ რჩევა-დარიგების მიზნით. დრო დაუთმეთ საკუთარ თავს და დღეში მინიმუმ ნახევარი საათით დაკავდით თქვენთვის საყვარელი აქტივობით.

> ***„თუ ბავშვობაში აგრესიას შესწრებიხართ, შესაძლოა გჯეროდეთ, რომ ბრაზი ყოველთვის ძალადობას გულისხმობს და, შესაბამისად, უნდა შეკავდეს. არადა, ბრაზი აუცილებელია პიროვნული საზღვრების დასასმელად, თავის დასაცავად, უსიამოვნო ადამიანებისგან დისტანცირებისათვის და, რაც მთავარია, არასასურველი გარემოს შესაცვლელად... ვინაიდან ბრაზის შეკავება შეუძლებელია, ვიწყებთ მის ირიბად, პასიურ-აგრესიულად გამოხატვას. მუდამ დაგუბებული ბრაზით დავდივართ. მნიშვნელოვანია, რომ ყველამ ისწავლოს ბრაზის სწორი გზით გამოხატვა და არ მოხდეს მისი უდანაშაულო ადამიანზე გადატანა***

პარიზელი შეფინსტრუქტორი ბათუმს ეწვევა

პირველ საერთაშორისო გასტრონომიულ ფორუმს „გასტრო ბათუმს“, რომელსაც ჩვენი ქალაქი 3-5 დეკემბერს უმასპინძლებს, სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიის უმაღლესი სკოლის „ფერრანდი პარიზის“ შეფინსტრუქტორი სტეფან იაკიჩი ეწვევა. ის „მიშლენის ვარსკვლავის“ მფლობელი რესტორნების და ცნობილი რესტორნებისა და სასტუმროების გაერთიანების შეფია

სტეფან იაკიჩი ბათუმის საერთაშორისო გასტრონომიულ ფორუმზე ავანგარდულ სამზარეულოზე ისაუბრებს, სტუმრებს გააცნობს, სად გადის ზღვარი თანამედროვე და ავთენტურ კერძებს შორის.

ის ფრანგული კულინარიის პროფესიულ პროგრამას მსოფლიოს 30-ზე მეტი ეროვნების სტუდენტს ასწავლის. 1989 წლიდან თანამშრომლობს შვეიცარიის, ბრიტანეთის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების ცნობილ რესტორნებსა და სასტუმროების ქსელებთან.

ფორუმის ფარგლებში, ჩვენს ქალაქს ასევე ესტუმრებიან „მიშლენის ვარსკვლავის“ მქონე რესტორნების ფრანგი, ბელგიელი, ლატვიელი შეფები. რესტორატორები, თურქ და ქართველ სპიკერებთან ერთად, გასტრონომიული ტურიზმის ტენდენციებსა და გამოწვევებზე ისაუბრებენ, ადგილობრივი შეფებისთვის კერძების მომზადების მასტერკლასებს ჩაატარებენ.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი პირველ გასტრონომიულ ფორუმს „გასტრო ბათუმი“ რეგიონში გასტრონომიული ტურიზმის განვითარების, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და დანერგვის მიზნით ატარებს. „ფორუმის პირველი დღე ისეთ მნიშვნელოვან თემას დაეთმობა, როგორიცაა განათლების როლი გასტრონომიის განვითარებაში, კულინარიულ ექსპერიმენტებს ავთენტური კერძების პოპულარიზებას, მოეწყობა გასტრონომიული კონფერენციები, კულინარიული შეჯიბრებები და სხვა. ფორუმის მეორე და მესამე დღეს დაგეგმილია კულინარიული მასტერკლასები, სადაც უცხოელი შეფები ადგილობრივი შეფმზარეულებისთვის თევზის, ხორცისა და სოუსების მომზადების მასტერკლასებს ჩაატარებენ. ასევე, იგეგმება ვიდეორეცეპტების მომზადება. ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი შეფები და რესტორატორები გიორგი ნინუა, გურამ ბაღდოშვილი და გასტრონომიის მკვლევარი, ექსპერტი დალილა ცატავა. ფორუმზე დასწრება შეუძლია შეფებს, მზარეულებს, რესტორატორებს და ზოგადად, გასტრონომიულ ტურიზმში ჩართულ პირებს“, - აცხადებენ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში.

სოფლად ტურიზმის ფესტივალი – „განდაგანა“

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმმა ორი დღის განმავლობაში, 25-26 ნოემბერს, სოფლის ტურიზმის ტრადიციულ ფესტივალ „განდაგანას“ უმასპინძლა. ევროპის მოედანზე მისულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, მთიანი აჭარის კულტურას, კულინარიას, ტრადიციებს ქალაქიდან გაუსვლელად გასცნობოდნენ და აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში ემოგზაურათ

ვიზიტიორებს ასევე, შეეძლოთ, დაეგემოვნებინათ ტრადიციული, უგემრიელესი აჭარული კერძები და თავადაც მიეღოთ მის მომზადებაში მონაწილეობა. სოფლის ტურიზმის ფესტივალ „განდაგანას“ ორგანიზატორი, ტრადიციულად, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტია. ჩვენთან საუბარში დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თინათინ ზოიძემ აღნიშნა, რომ ეს ფესტივალი ყოველ წელს უფრო მასშტაბური ხდება.

„ფესტივალი „განდაგანა“ აჭარის რეგიონისთვის უკვე ტრადიციად იქცა და ჩვენს ქალაქს ძალიან უხდება. ქალაქიდან გაუსვლელად, ყველა სტუმარს აძლევს საშუალებას, გაეცნოს რეგიონის მდიდარ ტრადიციებს. ჩვენ ვცდილობთ, ყოველწლიურად გავაფართოოთ და უფრო მასშტაბური გავხადოთ ფესტივალი, რომელსაც ყოველწლიურად აქვს ერთი კონკრეტული თემა. წელს იგი მიზნად ისახავდა მაღალმთიან აჭარაში შემორჩენილი ხელნაკეთი ნივთების, რეწვის ტრადიციების ფართოდ წარმოჩენას. ამიტომ იყო ასეთი ფერადი მთელი ევროპის მოედანი. ვიზიტორები გაეცნენ მუნიციპალიტეტების კულინარიას. კერძები მორგებული იყო დღევანდელობასთან, გათანამედროვებული და ეგრეთ წოდებული „სთრით ფუდის“ ფორმა ჰქონდა მიცემული. ფესტივალზე ყველა ტურისტულ ობიექტს თავისი პროდუქტი ჰქონდა წარმოდგენილი და საკუთარ პროდუქციას პოპულარიზაციას ადგილზე უწევდა. მთელი ფესტივალის განმავლობაში სცენაზე ერთმანეთს სხვადასხვა ანსამბლი ენაცვლებოდა, მათ შორის „მგზავრები“, „თამადა“, „ბანი“, „გოგლაურა“ და სხვა. წელს პირველად გვყავდა სპეციალური სტუმარი „გარდენია შევარდნაძე“, რომლის სტენდთან, აჭარაში მოყვანილ ხილბოსტნეულთან ერთად, წარმოდგენილი იყო მაღალმთიანი აჭარისთვის დამახასიათებელი ნაქარგობები. მადლობა ყველა სტუმარს და მონაწილე კომპანიას, მუნიციპალიტეტებს, ანსამბლებს მონაწილეობისთვის“, - გვითხრა თინათინ ზოიძემ.

ფესტივალ „განდაგანას“ ფარგლებში, სტუმრებს სპეციალურ ფასად შეეძლოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების შეძენა.

რობოტექნიკით დაინტერესებული ბათუმელი ახალგაზრდა ლატვიის ეკზიუპერის სკოლაში სწავლობს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

18 წლის ნიჭიერი ბათუმელი ახალგაზრდა ალექსანდრე კაპანაძე ლატვიაში ეკზიუპერის საერთაშორისო სკოლაში სწავლობს. სწავლის სრული დაფინანსება 1 წლის წინ მიიღო. მე-11 კლასის ჩათვლით ბათუმის №2 საჯარო სკოლაში სწავლობდა. ჯერჯერობით კვლავ სკოლის მოსწავლეა და, როგორც თვად გვითხრა, პროფესია ჯერ არ აურჩევია

- დაზუსტებით არ ვიცი, რომელ პროფესიას ავირჩევ, თუმცა სკოლის პროგრამის აუცილებლობიდან გამომდინარე, მქვს არჩეული ძირითადი ტექნიკური საგნები, როგორებიცაა ფიზიკა, პროგრამირება და მათემატიკა. ლატვიაში ეკზიუპერის საერთაშორისო სკოლაში სწავლის სრული დაფინანსება 1 წლის წინ, რამდენიმე ინტერვიუსა და ტესტირების შედეგად მივიღე, - გვიყვება ალექსანდრე.

იგი რამდენიმე წელია, რობოტექნიკითაა დაინტერესებული. კლუბიც კი დააარსა, რომელმაც 5 თვე იარსება.

- რობოტექნიკა, ძირითადად, ჰობი იყო და თავისუფალ დროს კოდის წერაში ვატარებდი, თუმცა წინა ზაფხულს გადავწყვიტე, ამერიკის საელჩოს ორგანიზაცია „ამერიკულ კუთხესთან“ თანამშრომლობით გამეხსნა რობოტექნიკის კლუბი, რომელმაც 5 თვეს იარსება. „ამერიკულ კუთხეს“ ბათუმის ბიბლიოთეკაში ჰქონდა სივრცე. ამ დროის განმავლობაში რამდენიმე არდუინოზე (ღია წყაროს მქონე კომპიუტერული პლატფორმა, რომელიც დაპროგრამებადია და შეიძლება მისი კოდით მართვა) დაფუძნებული პროექტი განვახორციელეთ. „ამერიკულმა კუთხემ“ დააფინანსა ჩემი პროექტი და ყველანაირი ხელსაწყო შეიძინა ჩემი კლუბისთვის. ვფიქრობ, ასეთი კლუბები აუცილებელია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. მათი არსებობა მომავალში ახალგაზრდებში ტექნოლოგიების შესახებ ცოდნას გაზრდის, - აღნიშნა მან.

ალექსანდრე ორ მეგობართან ერთად ოლიმპიადაზეც გავიდა, ლატვიის ნაციონალური ეტაპი გადალახეს და დანიის საერთაშორისო ეტაპშიც მიიღეს მონაწილეობა.

- კიდევ ერთი ხერხი, რითიც დღისდღეობით რობოტექნიკის საერთაშორისო ორგანიზაციები ახერხებენ ახალგაზრდებში ტექნოლოგიების, ინდუსტრიის ცოდნის გაღრმავება, არის ოლიმპიადები. უკვე მრავალი წელია, რაც რობოტექნიკის საერთაშორისო ორგანიზაცია მსოფლიო მასშტაბით არჩევს ჯგუფებს. ისინი ერთმანეთს რამდენიმე დივიზიონში ეჯიბრებიან. წელს მე და ჩემმა ორმა მეგობარმა გადავწყვიტეთ, მიგვეღო ოლიმპიადაში მონაწილეობა. რამდენიმეთვიანი მომზადების შემდეგ ლატვიის ნაციონალური ეტაპი გადავლახეთ და ჩავერთეთ დანიის საერთაშორისო ეტაპზე. რა თქმა უნდა, ბევრი მარცხი გვქონდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ შეცდომებზე ვისწავლეთ, - გვიყვება ალექსანდრე.

ამბობს, რომ ლატვიის ყოველდღიურობა ცივია, თვითონ კი საკმაოდ დატვირთულია დავალებებით...

- კლიმატური სხვაობა ნამდვილად შესამჩნევია, რადგან ლატვია ევროპის ჩრდილოეთ ნაწილს მიეკუთვნება. კულტურული განსხვავებაც საკმაოდ დიდია ქართველებსა და ლატვიელებს შორის. ჩემი ყოველდღიურობა დატვირთულია მრავალი მოსამზადებელი ჯგუფითა და დავალებით. მომწონს კურიკულუმი და თავისუფლება, რომელსაც სკოლა მთავაზობს. გარკვეულ ჭრილში შემიძლია გავავლო პარალელი ჩემს ქართულ სკოლასთანაც. ეს ის სკოლაა, სადაც ვისწავლე თავისუფლება - გამომეხატა და ამესრულებინა ჩემი ინიციატივები.

ალექსანდრე ოლიმპიადაში მონაწილეობას კვლავ აპირებს, სამომავლოდ პატარების დივიზიონის მწვრთნელობაც სურს.

- თავისუფალ დროს კოდის წერით ვატარებ. მიყვარს ჩემი იდეების რეალიზაცია და ამასთანავე, გამოწვევების დაყენება საკუთარი თავისთვის. ვფიქრობ, წელს ისევ მივიღებ მონაწილეობას რობოტექნიკის ოლიმპიადაში, ამასთანავე, პატარების დივიზიონის მწვრთნელადაც ვიპოზიციონირებ, - გვითხრა ალექსანდრემ.

მწვერვალზე ასვლამდე რა უნდა იცოდეს მთამსვლელმა?

მე-5 გვერდიდან



- მთამსვლელობაში ასეთი შემთხვევა ხშირია. ტრამვა მივიღე კავკასიონის მწვერვალზე „თეთრი უცნობი“. ისე მოხდა, რომ კლდიდან მოვწყდი... ამან გამოცდილება შემმატა, თუმცა, ნამდვილად არ მინდა, ეს ჩემმა მოსწავლეებმა გამოსცადონ.

- ბავშვებთან მუშაობა რთულია?

- კი, მაგრამ... დამავალის, რადგან აჭარაში არ იყო მწვრთნელი. თავიდან ვერ წარმოვიდგენდი, თუ ბავშვების მწვრთნელობა მომიწევდა და ამ საქმეს წარმატებულად გავართმევდი თავს. ვიყავი ინჟინერ-მექანიკოსი და ამ პროფესიით ვმუშაობდი. მთამსვლელობის სიყვარული სტუდენტობის დროს გამიჩნდა და დღემდე მომყვება. ბავშვებს ბევრ რამეს ვასწავლი ლაშქრობებისას, პირველ რიგში, სამშობლოს სიყვარულს. მობილურით, წიგნით სამშობლოს გაცნობა შეუძლებელია, საკუთარი თვალით ნანახს სხვა ხიბლი აქვს. გარდა ამისა, ვასწავლი უსაფრთხოების წესებს, თავდაცვას, გარემოზე ზრუნვას, ვაწვდი ინფორმაციას ამა თუ იმ კუთხის შესახებ, ვაჩვევ ბანაკურ ცხოვრებას, კარვის აწყობას და კიდევ ძალიან ბევრ რამეს.

- ყველაზე მაღალი მწვერვალები, რომლებიც დაიპყარით?

- ერთ-ერთი მყინვარწვერია, რომლის სიმაღლე 5000-5054 მეტრია, ასევე, მწვერვალი კაჭკარი - 3937 მეტრი, რომელიც თურქეთში მდებარეობს. მწვერვალზე ასვლა დამოკიდებულია ჯგუფის სიძლიერეზე. შეიძლება ორი-სამი დღე დაგვჭირდეს, მაგალითად, მყინვარწვერზე ასასვლელად მხოლოდ ორი დღე დაგვჭირდა, რადგან ჯგუფი ძლიერი იყო.

- რა შეგძინათ ამ პროფესიამ?

- ამ საქმიანობით მოვიარე საქართველოს ისეთი ადგილები, სადაც ექსკურსიით ვერ მოვხვდებოდი, უკეთ გავიცანი ჩემი ქვეყანა, ვისწავლე ექსტრემალურ პირობებში თავის გატანა, ყველაზე დიდ მიღწევად ვთვლი იმას, რომ ჩემი ქვეყნის უამრავ ბავშვს გავაცანი ეს პროფესია, შევაყვარე მობილურის გარეშე, მეგობრებთან ერთად კარავში ცხოვრება, მოგონებების დაგროვებაში დავეხმარე მათ. მთავარი კი ის არის, რომ ახალგაზრდებს სამშობლოსადმი სიყვარული გავუღვივე.

ზაირა გორგაძე,
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 30/11/23, 18 45 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

„პირველი ავტოგრაფი“ – მესამედ

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში 19 ნოემბერს საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“ გაიხსნა, 26 ნოემბერს კი საზეიმოდ დაიხურა. ფესტივალი წელს მესამედ გაიმართა და მასში 43 სასკოლო დასი მონაწილეობდა

ფესტივალის ავტორი, დამფუძნებელი და ორგანიზატორია შემოქმედებითი ორგანიზაცია ა(ა)იპ „არტ პორტალი“. ფესტივალის დირექტორი - მიხეილ გაბაიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი კი პეტრე ჩარგეიშვილი.

19-დან 25 ნოემბრის ჩათვლით სასკოლო სპექტაკლებს მასპინძლობდა: ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის დიდი და მცირე სცენები, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ხარიტონ ახვლედიანის

სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი.

დახურვის ცერემონიას მუსიკალურად აფორმებდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკალური ბენდი „Off side“ კალისტრატე ცინცაძის ხელმძღვანელობით.

ფესტივალის გამარჯვებულები კვალიფიციურმა ჟიურიმ გამოავლინა, რომლის წევრებიც იყვნენ: რეჟისორი გია კიტია (თავმჯდომარე), მსახიობი ნანული სარაჯიშვილი და პოეტი ტარიელ ხარხელაური.

წლევანდელი „თანატოლი ჟიური“ მოსწავლე მარიამ ხუჯაძე გახლდათ.

ნომინაციაში „საუკეთესო გოგონა (მოსწავლე) მსახიობი“ ბათუმის მუნიციპალიტეტის სკოლა „ევრო 2000“-ის მოსწავლე მარიამ ჭანტურიამ გაიმარჯვა (ბებიის როლი - სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“).

ნომინაციაში „საუკეთესო ვაჟი (მოსწავლე) მსახიობი“ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლის მოსწავლე თედო მუავანაძემ მოიპოვა გამარჯვება (ოსიკო ხარებაძის როლით სპექტაკლში „დარისპანის გასაჭირი“, თეატრალური დასი „გავქაჩავთ“).

ნომინაციაში „საუკეთესო ვაჟი (მოსწავლე) სახასიათო როლისთვის“ პრიზი ვახტანგ პაპუნიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის საჯარო სკოლის მოსწავლეებს დათუნა ბერიძეს (მდიდარი მეზობლის როლის შესრულებისთვის) და გიგა ხალვაშს (ვაჭრის როლისთვის) გადაეცათ (თეატრალური დასი, სპექტაკლი „მეგობრობა“). ნომინაციაში „საუკეთესო გოგონა (მოსწავლე) სახასიათო როლისთვის“ ჯილდო წილად ხვდა ვახტანგ პაპუნიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის საჯარო სკოლის მოსწავლე კესარია ალელიშვილს (მევიოლინის როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „მეგობრობა“, თეატრალური დასი „რამპა“).

ჯილდო „საუკეთესო მხატვრობა/სცენოგრაფიისთვის“ ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლას გადაეცა (თეატრალური დასი „სარკე“, პიესის ავტორები - დიანა ჩახუნაშვილი, ტარიელ კიკვაძე, სპექტაკლი „პროლოგი“).

ნომინაციაში „გამორჩეული სპექტაკლი“ პრიზი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოლადაურის საჯარო სკოლას გადაეცა (თეატრალური დასი „ოლადა“, სპექტაკლი - „ქეთევან წამებული“).

„საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისთვის“ დაჯილდოვდა სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა (თეატრალური დასი „მერცხლები“, სპექტაკლი „ჩხიკვთა ქორწილი“).

„საუკეთესო დასის“ სახელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლამ მოიპოვა (თეატრალური დასი „ტრიუმფი“, სპექტაკლი „ნუ გააღვიძებ“).

ნომინაციაში „საუკეთესო სპექტაკლი“ ჯილდო ბათუმის სკოლა „ევრო 2000“-ს გადაეცა (თეატრალური დასი „სახილველი“, სპექტაკლი „მზის დაბნელება საქართველოში“).

მსახიობ ბიძინა მიქაუტაძის სახელობის სპეციალური პრიზი გადაეცა აჩი ჯაიანს (გიორგის როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“, სკოლა „ევრო 2000“, თეატრალური დასი „სახილველი“.

თანატოლი ჟიურის რჩეული ნომინაციაში „საინტერესო პერსონაჟი“ გახდა ლიკა შარაშიძე (მართა ქვიტირიძის როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „დარისპანის გასაჭირი“, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთას საჯარო სკოლის თეატრალური დასი „გავქაჩავთ“).

ფესტივალში მონაწილე სხვადასხვა სკოლას ჟიურის სპეციალური დიპლომებიც გადაეცა.

- საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“ წელს მესამედ გაიმართა. იგი 2021 წელს დაფუძნდა და მისი მთავარი სპონსორები გახლავთ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ქალაქ ბათუმის მერია. ფესტივალში ჩართულია აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლები. გახსნის ცერემონიაზე მოწვეული გვყავდა დედაქალაქიდან გოგა პიპინაშვილის ხელოვნების საყმაწვილო ცენტრი „არტ ჰოლი“ სპექტაკლით „დიალოგი წარსულთან“. ეს წარმოდგენა კონკურსგარეშე იყო. 20 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით წარმოდგენები სხვადასხვა სივრცეში გაიმართა. ბევრი კარგი რამ მოიტანა ამ ფესტივალმა: ბავშვები თეატრში ჯგუფურად დადიან, აზრის, სითბოს გამოხატვას სწავლობენ, ბათუმის კულტურას, მსახიობისთვის ყვავილის მირთმევას... ჩვენს თეატრს მათი სახით კარგი მაყურებელი ჰყავს. გვქონდა პატარ-პატარა „სიკეთეებიც“: ახალგაზრდობის რეგიონულმა ცენტრმა 7 ბავშვისთვის 100-ლარიანი ვაუჩერი დაწესა წიგნის მაღაზიაში, რომელიც ლოტოტრონის პრინციპით გავათამაშეთ. ბოტანიკურმა ბაღმა ყველა მონაწილე სკოლას მრავალწლიანი ნარგავები გადასცა, რომლებსაც თავიანთ ეზოებში დარგავენ, ბათუმის დელფინარიუმმა ყველა მონაწილეს (1000-მდე ბავშვს), დელფინების შოუზე უმასპინძლა. გვყავდა მოხალისეები, რომლებიც საფესტივალო პროცესში იყვნენ ჩართულები. ვფიქრობ, ერთად ბევრი კარგი რამ მოვახერხეთ, - გვითხრა მიხეილ გაბაიძემ.

- წელს 12 საფესტივალო სპექტაკლი გვქონდა. წინა წლებთან შედარებით მასშტაბი ერთიორად გაიზარდა. პირველ წელს - 14, მეორე წელს - 25, წელს კი 40-დან 45-მდე განაცხადი მივიღეთ. თანდათან ფესტივალი შრომატევადი და უფრო საპასუხისმგებლო ხდება. ძალიან გვინდა, „პირველი ავტოგრაფი“ საერთაშორისო ფესტივალი გახდეს და ამის გამო, უფრო მეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ ხარისხს. არასაკონკურსო სპექტაკლები მთელი წლის განმავლობაში, სკოლის დასებთან შეთანხმებით, სხვადასხვა სივრცეში გაიმართება. მათთან ერთად განვიხილავთ, თუ სად უჩრევნიათ, ყველაფერს დავთმობთ ოღონდ იმუშაონ და კარგი შედეგი მივიღოთ, - გვითხრა პეტრე ჩარგეიშვილმა.

- მინდა, მადლობა ვუთხრა ამ ფესტივალის ავტორებს, რომ ღირსი გამხადეს, ჩამოვსულყავი და ამ უზომოდ ნიჭიერი ბავშვების შემოქმედება მენახა. სიმართლე გითხრათ, თავიდან ცოტა სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, რადგან ბავშვებისთვის შეუფერებელი მეგონა სცენაზე დიდი მწერლების ნაწარმოებების გაცოცხლება, თუმცა მათთან პირველივე შეხვედრამ გააქარწყლა ეს განწყობა და მას მერე თვალზე ცრემლი არ გამშრობია. ეს იყო ბედნიერების ცრემლები! მივხვდი, რომ მოვიდა დრო - მათით ვიამაყოთ. დიდი აკაკი წერეთლის ლექსის არ იყოს:

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!
ვიცინი, აღარ ვტირი მე.
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!“ - გვითხრა ტარიელ ხარხელაურმა.

- ძალიან დიდი მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს! ბევრმა ნიჭიერმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ არაჩვეულებრივი ბავშვები არიან. ფესტივალის ფარგლებში ძალიან კარგი სპექტაკლები ვიხილეთ. დარწმუნებული ვარ, რომ სამომავლოდ მსახიობები და რეჟისორები თუ არ გამოვლენ, კარგი მაყურებლები მაინც იქნებიან და ეს სფერო ეყვარებათ. ბათუმი ჩემთვის განსაკუთრებული ქალაქია, ქალაქი, სადაც შემოქმედებითად ავიდგი ფეხი, მიყვარს და ჩემთვის ძალიან ძვირფასია. მინდა, ულევი წარმატება ვუსურვო ყველას! - გვითხრა ნანული სარაჯიშვილმა.

ფესტივალის ფინანსური მხარდამჭერები არიან აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ქალაქ ბათუმის მერია.

ფესტივალის მედიამხარდამჭერებსა და პარტნიორებს შორისაა გაზეთი „აჭარაც“.

„პირველი ავტოგრაფის“ მიზანი მოზარდებში თეატრის მიმართ ინტერესის კიდევ უფრო გაღრმავებაა.

მეგობრების პორტრეტების სერია „თვალისჩინი“ – ხელოვნების მუზეუმში

აჭარის ხელოვნების მუზეუმის გალერეაში მხატვარ ნინო გოგოლიშვილის პერსონალური გამოფენა გაიმართა

პორტრეტების სერია „თვალისჩინის“ მთავარი პერსონაჟები მხატვრის მეგობრები არიან. როგორც ნინო გოგოლიშვილმა გვითხრა, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც რეალურად თვალისჩინის ტოლფასია. ამ პორტრეტების სერია ნინომ ნატურიდან გააცოცხლა, ცდილობდა, მათი სული დაეხატა და მსგავსება დაეჭირა.

- ამ სერიაში მოხვედრილ მეგობრებს თავიანთი მისია აქვთ. ყველა გარკვეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნით მოხვდა აქ. პორტრეტების გაცოცხლება განსაკუთრებით მიყვარს. არცერთ გმირს ამ სერიიდან თავისი პორტრეტი არ უნახავს, ყველამ გამოფენის გახსნაზე ნახა პირველად. ნატურიდან ხატვა განსაკუთრებით მისტიკური და ემოციურია. ადამიანები ამ დროს გულწრფელები ხდებიან, თითქოს ბოლომდე იხსნებიან და საკუთარ დამალულ სამყაროსაც გაჩვენებენ. ეს იყო ჩემთვის ყველაზე საინტერესო ინსპირაცია, რომელზეც ოდესმე მიმუშავია. ამ სერიაზე მუშაობა 2023 წლის ზაფხულიდან დავიწყე. მინდოდა, მეგობრებისთვის მეთქვა, რომ ყოველი მათგანი ჩემთვის თვალისჩინია. ამ ექსპოზიციაზე, ასევე, გამოვფინე ახალი ნამუშევრები სხვა სერიებიდანაც: „მკვდარი ჩიტის“, „ალბინოსების“, „მისტიკური არსებების“, „აჭარელი მთის მქარგავი ქალების“, „უკრაინული“... ყველა ეს სერია ამ სერიის ბუნებრივი გაგრძელებაა. ყველა ნამუშევარი სხვადასხვა მასალითა და ტექნიკითაა შესრულებული. ჩემი შემოქმედებით ყოველთვის ვცდილობ, ადამიანებს ვესაუბრო, ვანუგეშო, ძალა მივცე. აქცენტს მუდამ ემოციაზე ვაკეთებ. მე ვარ ჩემი წითელი ფერი, რომელიც ხანტკივილია, ხანაც ბედნიერება. ამ სერიით ისევ ვიმეორებ: „მესაუბრე ფერებით, გიპასუხებ ფერებით“, - გვითხრა ნინო გოგოლიშვილმა.

გვერდი მოამზადა
მარიამ ხითარიშვილმა